# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 2 აპრილი, 2011 წელი.

№61 (6673)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## საქართველოს „ვარდების რევოლუციის“ მუტანტები თუ საუფლისწულო სამთავროების აჩრდილები?



④ ⑤

## მაგთი ქართულ საქმეს აკეთებს

⑪

მაგთი MAGTI

**ომარ შამათავა**



⑨

## სიყვარული გადაგვარჩენს

ლექსები ახალი კრებულიდან

## გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობამ ბევრად იმატა

②

## დასავლური „შეშფოთების“ ქართული „რემიქსი“

②

## დღეიდან კოდები იცვლება!

### ამის გათვალისწინებით, ამიერიდან გამომძახებელი სატელეფონო აბონენტი ასე უნდა მოიქცეს...

**თანამედროვე კავშირგაბმულობის სფერო საზოგადოებრივი ყოფის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად ცვლადი და დინამიურად განვითარებადი სფეროა. ამის ცხადი მაგალითია, კერძოდ, მობილური სატელეფონო კავშირი: ფაქტობრივად, ყოველთვე მობილური ოპერატორები მომხმარებელს მომსახურების ახალ-ახალ პაკეტებს, სულ უფრო მეტად შეღავათიან ტარიფებს სთავაზობენ. ამ მხრივ არც, ასე ვთქვათ, „სტაციონარული სატელეფონო კავშირგაბმულობაა“ გამონაკლისი, რომელშიც წლეულს რამდენიმე ეტაპისგან შემდგარი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდება.**

საქართველოს მთავრობის შარშანდელი 18 ნოემბრის № 335 დადგენილების საფუძველზე აპრილიდან შეიცვლება ელექტრონული საკომუნიკაციო ნომერაციის ეროვნული სისტემა. 2011 წლის განმავლობაში ნუმერაციის ეროვნულ სისტემაზე გადასვლის სამუშაოები ხუთ ეტაპად განხორციელდება.

**I ეტაპზე, მარტი-აპრილის პერიოდში, დაიწყო და გაგრძელდება საქართველოს ქალაქების (დასახლებული პუნქტების) გეოგრაფიული კოდების შეცვლა;**

**II ეტაპზე, აპრილ-ივნისის პერიოდში, შეიცვლება საქართველოს მობილური ოპერატორების, და არა გეოგრაფიული კოდები;**

**შენიშვნა: ივნისამდე პარალელურ რეჟიმში იმუშავებს ძველი კოდებიც;**

**III ეტაპზე, აგვისტო-სექტემბრის პერიოდში, ახლანდელი ექვსნიშნა ნომრები შვიდნიშნა ნომრებით შეიცვლება;**

**IV ეტაპზე, ნოემბრის თვეში, 8-იანი კოდი (საქალაქთაშორისო და საერთაშორისო) შეიცვლება;**

**V ეტაპზე, ასევე ნოემბერში, შეიცვლება სპეციალურ (მოკლეკოდიან) ნომრებზე დარეკვის ნუმერაცია (ისინი გახდება სამნიშნა – 001; 002; 003 და სხვ.);**

**შენიშვნა: ნოემბრის დამლევამდე პარალელურ რეჟიმში იმუშავებს ძველი კოდებიც.**

აქვე დავსძენთ, რომ, 2 აპრილის ჩათვლით, ახალი კოდები იმუშავებს ძველების პარალელურად, ხოლო 3 აპრილიდან ძველი კოდები გაუქმდება, ამიტომ **აბონენტებს ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ ქალაქებთან დაკავშირება მხოლოდ ახალი გეოგრაფიული კოდების გამოყენებით შეეძლებათ.**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, საწყის ეტაპზე, კერძოდ, 2 აპრილიდან 25 აპრილის 24 საათამდე პარალელურად იმოქმედებენ არსებული და ახალი გეოგრაფიული ზონების კოდები, ხოლო ვადის ამოწურვის შემდეგ, აბონენტების დაკავშირება მხოლოდ გეოგრაფიული ზონების ახალი კოდებით იქნება შესაძლებელი.

საყურადღებოა ისიც, რომ **ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების აბონენტთათვის საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირის განხორციელების წესი უცვლელი დარჩება,** ცვლილება მხოლოდ საქართველოს ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების კოდებს შეეხება.

ამასთან, საქართველოს ქალაქებიდან და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრებიდან **თბილისში დასარეკად სატელეფონო კავშირზე გამომძახებელმა აბონენტმა უნდა აკრიფოს: პრეფიქსი – 8, ოპერატორის არჩევის კოდი (07,10,11,18 და ა.შ), ან მხოლდ პრეფიქსი-8, შემდეგ თბილისის კოდი – 32 და თბილისელი აბონენტის ექვსნიშნა ნომერი – XX XXXX;**

რაც შეეხება თბილისიდან ქვეყნის სხვა ქალაქებში დარეკავს – გამომძახებელმა აბონენტმა უნდა აკრიფოს: **პრეფიქსი – 8, ოპერატორის არჩევის კოდი (07,10,11,18 და ა.შ.), ან მხოლოდ პრეფიქსი – 8, შემდეგ გამოსაძახებელი ქალაქის ახალი კოდი და გამოსაძახებელი აბონენტის ხუთნიშნა ნომერი** (მაგალითად, თბილისიდან ბათუმში დასარეკად უნდა აკრიფოთ „8“, ოპერატორის კოდი (07,10,11, 18 და ა.შ.), ან მხოლოდ „8“, შემდეგ ბათუმის ახალი კოდი – 422 და ბათუმის აბონენტის ხუთნიშნა ნომერი – XXXXX);

**ქვეყნის ერთი ქალაქიდან მეორეში დასარეკად, აბონენტმა უნდა აკრიფოს პრეფიქსი – 8, ოპერატორის არჩევის კოდი, ან მხოლოდ „8“, შემდეგ გამოსაძახებელი ქალაქის ახალი კოდი და გამოსაძახებელი აბონენტის ხუთნიშნა ნომერი** (მაგალითად, რუსთავიდან სამტრედიაში დასარეკად უნდა აიკრიფოს პრეფიქსი – 8, ოპერატორის არჩევის კოდი (07, 10,11,18 და ა.შ.), ან მხოლოდ „8“, სამტრედიის ახალი კოდი – 411 და სამტრედიაში გამოსაძახებელი აბონენტის ხუთნიშნა ნომერი (XXXXX).

იხ. 3 გვ.

გუშინდელი ფოსტიდან

## რატომ გვატყუებთ, პატივცემულო პრემიერ-მინისტრო?

### არა მგონია, ამ ბოლო დროს თქვენ თვითონ შესულიყავით სადმე აფთიაქში



სხვა ხელისუფალთაგან განსხვავებით, თუნდაც ბევრი თქვენივე მინისტრისგან გამორჩეულად, თქვენ ნამდვილად კარგი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ. ამიტომ მოუთმენლად ველოდი პარლამენტში თქვენს გამოსვლას იმ იმედით, რომ ტყუილების არნახულ კორიანტელში, რომელიც თქვენმა მინისტრებმა სამთავრობო კვირის მანძილზე, პარლამენტში დაატრიალეს, თქვენ, ნიკა გილაური, როგორც მოგახსენეთ, ბევრის თვალში კარგი და მართალი ადამიანი, ტყუილს არამცთუ არ იკადრებდით, არამედ სახალხოდ დაგმობდით თქვენი მთავრობის წევრების სამარცხვინო საქციელს.

მაგრამ, ვაი რომ, მწარედ მოვტყუვდით მეცა და ბევრი ჩემნაირიც. ის მაინც რამ გათქმევინათ, ჩემი პრემიერ-მინისტრობის დროს საქართველოში სიღარიბე ოთხჯერ შემცირდაო (ოთხი პროცენტით კი არა ოთხჯერ!). და ეს მაშინ, როცა საქართველოში ღარიბთა რიცხვმაც იმატა და გაჭირვებამ თითქმის მთელ ერს წაგვიჭირა ყელში თავისი ფასმიუწვდომელი მარწუხი.

მე დიაბეტით და გულით დაავადებული ვარ. დიდად გავიხარე, ტრიბუნიდან რომ განაცხადეთ, დიაბეტონი 55 პროცენტით გაიაფდაო. გუშინ ეგრეთ წოდებულ ნარინჯისფერ ერთ-ერთ აფთიაქში შევედი, სადაც წამლები შედარებით მართლაც იაფია და დიაბეტონს ადრე 11 ლარად ვყიდულობდი. გუშინ კი 14 ლარი და 75 თეთრი გადამახდევინეს, ასევე ჩემთვის აშკარად მიუწვდომელი წამალია, „კარუმ-75“, რომელიც 6 თვე უნდა ვსვა, ახლა არ იკითხავთ, რა ღირს? – 114 ლარი.

რა ვქნა მე, უბედურმა პენსიონერმა, ჩემი 90 ლარით, რამდენი რამ გადავიხადო და რით ვირჩინო თავი?

ეს არის თქვენი სიღარიბე ოთხჯერ შემცირდაო და ზოგიერთი წამალი 55 პროცენტით გაიაფდაო?

არ მინდა გაკადროთ, მაგრამ, ალბათ, ბევრის სათქმელს გაგიმჟღავნებთ თუ დაურიდებლად გეტყვით: ამ სიმართლით გევლოთ თქვენცა და თქვენს მთავრობასაც!..

**ბიძინა ფიცხელაური,**
პენსიონერი, დიაბეტით დაავადებული.
ქ. თბილისი

## ინფორმაცია

### ისიც არ ვიცით, სად უნდა ვიჩივლოთ

**გაეროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლომ რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს სარჩელის არსებით განხილვაზე უარი თქვა.**

**სააგენტო „ფრანს პრესის“ ინფორმაციით, ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნულის მიზეზად ის გარემოება დაასახელა, რომ საქართველოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის განხილვა მის კომპეტენციაში არ შედის.**

**შეგახსენებთ, რომ სარჩელში საქართველო რუსეთის ხელისუფლებას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ადგილობრივი სეპარატისტული ხელისუფლებების დახმარებით, ეთნიკური ქართველების დისკრიმინაციაში ადანაშაულებდა.**

**სარჩელი 1990-2008 წლების შემთხვევებს აერთიანებდა. 2008 წლის 12 აგვისტოს შეტანილ სარჩელში საქართველო რუსეთის მიერ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ ამტკიცებდა.**

### რუსეთი აფხაზურ სოფელს ისაკუთრებს

**მოსკოვში მიმდინარე კონსულტაციებმა სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხებზე რუსეთსა და აფხაზეთს შორის მომავალში ნდობით ურთიერთობებს უნდა ჩაუყარონ საფუძველი — აცხადებს სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირინა აგრბა. მისივე თქმით, ე.წ. სახელმწიფო საზღვრის დემარკაცია-დელიმიტაციის საკითხი აუცილებელი და მნიშვნელოვანია სოჭში დაგეგმილი ოლიმპიადის გამოც.**

**— სოფელი აიბგა ჩვენს მხარეს არის და გეოგრაფიულადაც და ისტორიულადაც აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. მოსკოვის მიერ შემოთავაზებულ პროექტში კი სოფელი რუსეთისთვისაა მიკუთვნებული, — აცხადებს აგრბა და დასძენს, რომ აფხაზეთის პოზიცია მდგომარეობს იმაში, რომ საზღვარი გავიდეს მდინარე ფსოუზე ანუ აფხაზეთის ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკის არსებული საზღვრების ფარგლებში.**

**აფხაზური ე.წ. პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირინა აგრბა აღიარებს, რომ მოლაპარაკებებზე „იკვეთება რუსული მხარის სურვილის არქონა მალევე მიიღონ აფხაზეთის პოზიცია“.**

**ამავე დროს აგრბამ აღნიშნა, რომ „იმ შემთხვევაში თუკი წარსულს ძალიან ჩავუღრმავდებით, შესაძლოა ჩიხშიც შევიდეთ, იქიდან კი ძალიან რთული იქნება თავის დაღწევა როგორც აფხაზური ასევე რუსული მხარეებისათვის, — აცხადებს აგრბა.**

### ებრაელ ბიზნესმენებს პატიმრობა მიუსაჯეს

**თბილისის საქალაქო სასამართლომ ისრაელის მოქალაქეებს, ბიზნესმენებს რონი ფუქსსა და ზეევ ფრენკელს პატიმრობა შეუფარდა.**

**სასამართლოს მიერ გაცხადებული ოფიციალური გადაწყვეტილების საფუძველზე, ფუქსს პატიმრობის ვადად 7 წელი, ფრენკელს კი 6 წელი განესაზღვრათ.**

**გარდა ამისა, როგორც საქალაქო სასამართლოში განაცხადეს, ორივე მსჯავრდებულს ფულადი ჯარიმის გადახდაც მოუწევს — ფრენკელს 100 ათასი ლარის, ფუქსს კი 500 ათასი ლარის ოდენობით.**

**ბიზნესმენები დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის მე-3 ნაწილში გამოცხადდნენ, რაც სახელმწიფო მოხელისთვის ქრთამის მიცემას ითვალისწინებს.**

**— ამ ეტაპზე ექსტრადაციის საკითხის დაყენება არ განიხილება, ვინაიდან ეს შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, , რაც სასამართლო განხილვა საბოლოოდ დასრულდება. ჯერ კი, მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, — აღნიშნა ბიზნესმენების ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა.**

**აღნიშნულ კონტექსტში, კბილაშვილმა განმარტა, რომ ის თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს „დიდი ალბათობით“ გაასაჩივრებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

## სახალხო დამცველის ანგარიში

# გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობამ ბევრად იმატა

**სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა საქართველოს პარლამენტს ანგარიში წარუდგინა საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.**

ანგარიში ეხება უფლებათა და თავისუფლებათა ფართო სპექტრს და მიმოიხილავს სამოქალაქო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა დაცვის მდგომარეობას. ანგარიში ასახავს ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით სახელმწიფოში არსებულ ზოგად ტენდენციებს და მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დარღვევის კონკრეტულ ფაქტებს.



აღსანიშნავია, რომ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში მითითებულია სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ის ორგანოები და თანამდებობის პირები, რომლებიც არღვევდნენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, არ ითვალისწინებდნენ სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ამ უფლებათა აღდგენის ღონისძიებების შესახებ, დაბრკოლებებს უქმნიდნენ სახალხო დამცველს ფუნქციების ეფექტიან განხორციელებაში.

ვიმედოვნებთ, რომ სახელმწიფო ქმედით ნაბიჯებს გადადგამს ანგარიშში ასახული სისტემური პრობლემების გადაწყვეტის, საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრისა და კონკრეტული დარღვეული უფლებების აღსადგენად, რაც აუცილებელი წინაპირობაა სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში, მონიტორინგი განახორციელა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის ადგილებში. ანგარიშში აღწერილია ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაწესებულებებსა და ბავშვთა სახლებში.

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში ერთ-ერთ პრობლემატურ სფეროდ კვლავ სასჯელაღსრულების სისტემა რჩება. ძირითად პრობლემებს შორის უნდა დავასახელოთ რიგი სასჯელაღსრულების დაწესებულებების გადატვირთულობა, დაწესებულებების ადმინისტრაციის მხრიდან პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობა, ამ ფაქტების არასათანადო გამოძიება.

ამის გარდა, კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება პატიმრების ხელმისაწვდომობა შესაბამის სამედიცინო მომსახურებაზე. მონიტორინგის შედეგად, ასევე გაანალიზებულია სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმართა სიკვდილიანობის კონკრეტული მიზეზები. 2010 წლის განმავლობაში გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობამ სისტემაში ბევრად გადააჭარბა წინა წლებში გარდაცვლილთა რაოდენობის მაჩვენებელს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგის დროს გამოვლინდა მრავალი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია მოძველებულ ინფრასტრუქტურასა და თავისუფლების აღკვეთის არასათანადო პირობებთან. მწვავე პრობლემად რჩება ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირების ხანგრძლივი დროით მოთავსება დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

მონიტორინგის შედეგების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ღირსების შემლახავი მოპყრობა, ისევე როგორც არაპროპორციული ძალის გამოყენების საკითხი, კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება.

2010 წლის მონიტორინგის შედეგად, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში გამოვლინდა მრავალი დარღვევა: სააღმზრდელო დაწესებულებების პერსონალისგან აღსაზრდელთა მიმართ ძალადობის შემთხვევები, ბავშვის განვითარებისათვის შეუფერებელი და ჯანმრთელობისათვის საზიანო გარემო პირობები, ბავშვთა შრომის გამოყენება, ბავშვთა დისკრიმინაცია. ასევე, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ბავშვთა არასაკმარისი კვება, ფსიქო -სოციალური რეაბილიტაციის მწვავე ნაკლებობა.

ანგარიშში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სამართლიანი სასამართლოს უფლებას. სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ საერთო სასამართლოების საქმიანობაში გვხვდება კანონმდებლობის მოთხოვნების უგულებელყოფა, რაც არღვევს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

სოციალურ-ეკონომიკური უფლებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა. საანგარიშო წელს გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც ძირითადად თბილისის მასშტაბით დევნილთა გამოსახლებების პროცესს უკავშირდება. ასევე, წარმოდგენილია კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების მდგომარეობის მცირემასშტაბიანი კვლევა.

კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ მოქალაქეთა უფლებების დაცვის მდგომარეობა 2010 წლის განმავლობაში არ გაუმჯობესებულა. კონფლიქტის რეგიონებში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით არსებული ზოგადი მდგომარეობა კვლავ ძალიან მძიმეა.

სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ზოგჯერ ხელყოფილია საკუთრების უფლება.

წინა წლების მსგავსად, 2010 წელსაც ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში ჩარევის, ჟურნალისტური საქმიანობისათვის ხელის შეშლის, ხოლო ზოგჯერ მათი ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები გამოვლინდა.

**ნატა ნიბლაძე**

## „წარმატებული ქართული სახელმწიფო“

# დასავლური „შეშფოთების“ ქართული „რემიქსი“

**საქართველოს მოსახლეობას პარლამენტარების მინისტრთა კაბინეტთან შეხვედრა არ ჰქონდა „მონელებული“, რომ მოულოდნელად გავიგეთ, თურმე „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის თანახმად“, 2011 წლის 31 მარტს, საქართველოს სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში ქვეყნის პარლამენტისთვის საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიშით წარდგენას აპირებდა.**

აქ სიტყვა „წარდგენის“ ნაცვლად, სიტყვა „წარმოდგენა“ შემეძლო დამეწერა, მაგრამ რადგანაც ოფიციალური ინფორმაცია იყო, აღარ „ჩავუღრმავდი“.

პრინციპში, თუ საქართველოს პარლამენტში წელს მისული ხალხის „წარმოდგენებით“ ვიმსჯელებთ, მაინცადამაინც დიდ შეცდომას არ დავუშვებდი, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ევროპულად განათლებული „სახალხო დამცველია“ და ამიტომ შევეცდები მისი ანგარიშის მცირე ანოტაცია, რეალურად არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში განვიხილო.

**დავიწყებ სულ ცინცხალი ინფორმაციით.**

სანამ წერილის წერას შევუდგებოდი, ფეისბუკზე ერთი ძალიან საინტერესო (ერთი შეხედვით სასაცილო, მაგრამ რეალურად სამწუხარო) ინფორმაცია ვნახე. ეს ინფორმაცია ინტერნეტ საიტის tribuna.ge-ს საშუალებით გავრცელდა.

ადვოკატი მანანა კობახიძე, ქუთაისში გამართულ სასამართლო პროცესზე მოსამართლე მარინა სირაძემ **ღიმილისთვის, რომელიც თურმე სასამართლოს უპატივცემულობის გამომხატველია(?!)** 100 ლარით დააჯარიმა.

ძალიან ბევრი სათქმელი მაქვს.

ძალიან ბევრი, მაგრამ ამ ინფორმაციის შემდეგ, მე მგონი საქართველოში არსებულ რეფორმირებულ და არაკორუმპირებულ სასამართლო სისტემაზე ყოველგვარი კომენტარი, აბსოლუტურად ზედმეტია.

პრინციპში რა უნდა ვთქვა, როდესაც სახალხო დამცველის ანგარიშში პირდაპირ წერია, რომ **„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში მითითებულია სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ის ორგანოები და თანამდებობის პირები, რომლებიც არღვევენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, არ ითვალისწინებენ სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ამ უფლებათა აღდგენის ღონისძიებების შესახებ, დაბრკოლებებს უქმნიდნენ სახალხო დამცველს თავისი ფუნქციების ეფექტურ განხორციელებაში“.**

გამახსენდა ფრაგმენტი მხატვრული ფილმიდან „დარიკო“.

რომელი ფრაგმენტი იცით? აი ის, მოხუცი კაცი რომ გამოდის პოლიციელების წინ. თავის ხელჯოხს რომ გადატეხავს „სამართალდამცავების“ უსამართლობით გამწარებული და ამბობს:

**— ჩაფარიც თქვენია, პრისტავიც. თოფიც თქვენ გაქვთ და ზარბაზანიც. მე შიშველი ხელებით სად ვსდიო დარიკოს და მის ხალხსო!**

გაგახსენდათ ხომ?

მეც გამახსენდა.

**დასავლურად განათლებული სახალხო დამცველიც მაგათია. შეშფოთებული საერთაშორისო საზოგადოება და მსუყეგრანტიანი ე.წ. ქართველი „უფლებადამცველები“, საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლი და მაინც განუკითხაობაა სასამართლოში, ბიზნესში, პენიტენციალურ სისტემაში, ქუჩაში, სკოლაში, ყველგან სადაც ამ ხელისუფლებას ხელი მიუწვდება.**

ჰოდა სად ვსდიოთ ამ ხალხს „გონივრული ეჭვისგან“ დაშინებულმა მოქალაქეებმა?

როგორც დასავლურ ცივილიზაციას ეკადრებოდა, **„საანგარიშო წლის განმავლობაში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში, მონიტორინგი განახორციელა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის და შეზღუდვის ადგილებში. ანგარიშში აღწერილია ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაწესებულებებში და ბავშვთა სახლებში“.**

რას იტყვით? ძალიან მაგარი წინადადებებია არა?

„პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში მონიტორინგის განხორციელება“ უბრალო საქმე ხომ არ გგონიათ.

არადა 17 მარტს, რადიო 105-ის ეთერში, ჩემმა მეგობარმა ზაზა კვიცარიძემ, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ განთავისუფლდა „რეფორმირებული“ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან, სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მიუხედავად დიდი სურვილისა, სახალხო დამცველის აპარატის ქუთაისის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს გეგუთის ზონაში არსებული ვითარების სრული სურათის აღწერა.

ვერ შეძლეს არა იმის გამო, რომ მათ ეს არ სურდათ, უბრალოდ ფიზიკურად იყო შეუძლებელი ყველა პატიმართან გასაუბრება. ფიზიკურად იყო შეუძლებელი იმ უამრავი პრობლემის მოსმენა, ჩანიშვნა და რეალური მონიტორინგის განხორციელება.

ფიზიკურად იყო შეუძლებელი გამოყოფილი დროისა და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების სიმცირის გამო.

ამავე გადაცემაში, პარლამენტის წევრ დიმიტრი ლორთქიფანიძის წინაშე დაისვა საკითხი სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის ეფექტურობის გაძლიერების შესახებ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა ამისთვის არც მსჯავრდებულების, არც სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების და არც პარლამენტის წევრების სურვილი არ არის საკმარისი.

აქ მთავარ როლებს **„სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ის ორგანოები და თანამდებობის პირები“ „ასრულებენ“, „რომლებიც არღვევენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, არ ითვალისწინებენ სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ამ უფლებათა აღდგენის ღონისძიებების შესახებ, დაბრკოლებებს უქმნიან სახალხო დამცველს თავისი ფუნქციების ეფექტიან განხორციელებაში“.**

იხ. 5 გვ.

ყველას გასაგონად!

# არ დავუშვათ ძალაუფლების მორიგი უზურპაცია!

ხელისუფლებამ გადაწყვიტა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების პოლიტიკური პროცესის ჩიხში შეყვანა ერთადერთი მიზნით – „რვიანს“ ნერვებმა უმტყუნოს, გაიჯახუნოს კარი და საკუთარი თავის დისკრედიტაცია მოახდინოს როგორც ამომრჩევლის, ისე საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში, ამით კი ხელისუფლებას გზა გაეხსნას მომავალ არჩევნებში ძალაუფლების მორიგი უზურპაციისათვის.

„რვიანის“ 23 მარტის განცხადებაში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ხელისუფლების ამგვარი ქცევის მიუხედავად, მოლაპარაკების პროცესს ჯერ კიდევ აქვს აზრი, თუ „ნაცმოძრაობა“ კეთილინებებს და, ბოლოს და ბოლოს, წარმოადგენს სერიოზულ დოკუმენტს, რომელშიც დაფიქსირებული იქნება არგუმენტირებული პოზიცია ძირეულ შემოთავაზებებთან დაკავშირებით.

რვა პარტიის დაბალანსებული და სახელმწიფო ინტერესებზე ორიენტირებული პოზიციის ფონზე განსაკუთრებით ცინიკურად გაისმა პავლე კუბლაშვილის სრულიად უადგილო განცხადება, თითქოს „ბურთი ოპოზიციის მოედანზეა“ და „ხელისუფლებასთან ულტიმატუმის ენით ლაპარაკს აზრი არა აქვს“.

რას ნიშნავს კუბლაშვილის ეს განცხადება? იქნებ იმას, რომ ხუთი თვის განმავლობაში ხელისუფლებამ არ (ან ვერ) წარმოადგინა საარჩევნო გარემოს დემოკრატიზაციის საკუთარი ხედვა? იქნებ კუბლაშვილი იმ სამარცხვინო ფურცელს გულისხმობს, რომელზედაც ყოვლად უაპელაციოდ, არითმეტიკის ელემენტარული წესების უგულებელყოფით აღნიშნულია ბიომეტრიული საარჩევნო პროცესისათვის საჭირო აბსურდული თანხა – დაახლოებით 200 მილიონი ლარი? ყოველივე ამას დაემატა ხელისუფლების ზღვარს გადასული ფანტაზიის ახალი ნაყოფი – კარიკატურული ალტერნატიული „რვიანის“ შექმნა.

ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ნათელია: ხელისუფლებას, რომელსაც არ სურს საარჩევნო გარემოს შეცვლა, უნდა ძალაუფლების საბოლოო უზურპაცია და თავის თანამოქალაქეებზე მუდმივი ბატონობა. მაგრამ ცვლილება მაინც გარდაუვალია, თუმცა – რის ფასად?

ისტორია და თანამედროვე საერთაშორისო ვითარება გვიკარნახებს: გაჯიუტებული უზურპატორების ძალაუფლებისაგან ჩამოცილების ფასი ერთია – სისხლი! ჩვენ ვეკითხებით სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას:

აცნობიერებთ თუ არა თქვენი ქმედების მოსალოდნელ უმძიმეს შედეგებს ქვეყნის, ხალხის, თუნდაც თქვენი და თქვენი ოჯახებისა და შვილებისათვის?

აცნობიერებთ თუ არა, რომ მხოლოდ ნორმალური, ობიექტური არჩევნების შემთხვევაშია შესაძლებელი სამოქალაქო დაპირისპირებისა და ქაოსის თავიდან აცილება?

ხვდებით თუ არა, რომ მხოლოდ ნორმალური, დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში გექლევათ შანსი, შეინარჩუნოთ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის პერსპექტივა?

ფაქტობრივი უარი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე თქვენ გიტოვებთ ერთადერთ შესაძლებლობას – დაადგეთ ხელისუფლების საბოლოო უზურპაციის გზას, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. ასეთ მომავალს კი არ ვუსურვებთ არც ჩვენს ქვეყანას, არც ჩვენს თანამოქალაქეებს და, თქვენდა გასაკვირად, არც თქვენ.

**მოვუწოდებთ მოლაპარაკებებში მონაწილე ოპოზიციურ პარტიებს, ხელისუფლებას, საერთაშორისო საზოგადოებას და საქართველოს ყველა მოქალაქეს: ვიხმაროთ ყველა ღონე და საშუალება (მასობრივი საპროტესტო გამოსვლების ჩათვლით), რათა დავარწმუნოთ დიქტატურის შეუქცევად გზაზე შემდგარი სააკაშვილი, რომ შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური, ზნეობრივი, სამართლებრივი და ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის ერთადერთი საშუალებაა – დაუბრუნოს ხალხს თავისუფალი არჩევანის უფლება.**

**„ქართული აკადემია“ გამოდის ინიციატივით, შემუშავდეს ხელისუფლებაზე ზემოქმედების ერთიანი სტრატეგია და ტაქტიკა. ამ მიზნით, „ქართული აკადემია“ ახლო მომავალში გამოაცხადებს საინფორმაციო საზოგადოებრივი შეკრების დროსა და ადგილს.**

„ქართული აკადემია“

ისევ გზაჯვარედინზე

# „ჩიხური ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი ხელისუფლებაზე ძლიერი საერთაშორისო ზეწოლაა“



***ექსპერტი გიორგი ვოლსკი საარჩევნო გარემოზე მუშაობის პროცესის ჩაშლის მიუხედავად, ე.წ. რადიკალური და ზომიერი ოპოზიციის გზების ქუჩის აქციებზე გადაკვეთის წინაპირობებს ვერ ხედავს.***

როგორც „პირველს“ ვოლსკიმ განუცხადა, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება აუცილებელია, რათა ქვეყანაში არსებული პრობლემები, მათ შორის კონფლიქტების დარეგულირება მოგვარებადი გახდეს, თუმცა საქართველოში მოქმედი პოლიტიკური ძალები ამას ჯერჯერობით ვერც ერთი გზით ვერ აღწევენ.

**– საზოგადოებამ უნდა იცოდეს და მარტო მე არ ვარ, ვინც ამას ამბობს, რომ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომელიც ხელისუფლების მიერ არის აღრიცხული, გაცილებით მეტია რეალურზე. ამომრჩეველთა რიცხოვნობის ეს დამახინჯება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ხელისუფლება დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას არ აპირებს. ასეთ ვითარებაში უნდა ველოდოთ, რომ ნიჰილისტური განწყობები, საზოგადოების დიდი ნაწილის გაჭირვებულ მდგომარეობაში ყოფნა, სხვა რიგი პრობლემები, რომელიც შიდა თუ საგარეო პოლიტიკას უკავშირდება, გაგრძელდება; ეკონომიკურ ჯგუფს იმაზე უკეთესი არაფერი შეემატება, ვიდრე დღეს აქვს; არასდროს იქნება სიტყვის თავისუფლება, შენარჩუნდება „იმიტირებული ქრონიკის“ გარემო, სასამართლო სისტემა უკეთესობისკენ არ შეიცვლება, ვერ მოგვარდება კონფლიქტები... ეს არის შედეგები, რასაც საზოგადოება უნდა ელოდოს, თუკი არჩევნები იმ სქემით და ფორმულით ჩატარდება, რომელსაც ხელისუფლება გვთავაზობს,** – განაცხადა ექსპერტმა.

ამასთან, მისი აზრით, ამ ყველაფრის ძალისმიერი მეთოდებითა და რევოლუციით თავიდან აცილება გამორიცხულია.

**– ვიღაცებს იმედი აქვთ, რომ ეს ყველაფერი ხელის ერთი მოსმით - ძალისმიერი მეთოდებით შეიძლება შეიცვალოს. ჩემი აზრით კი, ძალისმიერი მეთოდები სიტუაციის უკეთესობისკენ შეცვლამდე ნამდვილად არ მიგვიყვანს,** – აღნიშნა ვოლსკიმ.

რაც შეეხება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მომუშავე ჯგუფში შემავალი ოპოზიციური „რვიანის“ ქუჩაში გადანაცვლების შესაძლებლობას, ექსპერტი ვერ ხედავს იმის წინაპირობას, რომ „რადიკალებისა“ და საარჩევნო გარემოზე მომუშავე ოპოზიციონერთა გზები გადაიკვეთოს.

**– „რვიანში“ შემავალი პოლიტიკური ლიდერების უმეტესობა ქუჩის ლიდერი არაა. გარდა ამისა, თუკი ქუჩის მოძრაობა რადიკალური და დამანგრეველი არ არის, მაშინ ის ხელისუფლებაზე გავლენას ვერ ახდენს, ხოლო თუკი რადიკალური და დამანგრეველია, მაშინ ვითარებაზე მხოლოდ ცუდ გავლენას ახდენს. შესაბამისად, შექმნილია ჩიხური სიტუაცია,** – განმარტა ვოლსკიმ, რომელსაც შექმნილი ვითარებიდან გამოსვლის ერთადერთ რეალურ და ქმედით გზად ხელისუფლებაზე საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის გაძლიერება ესახება.

**– ბოლო პერიოდში ამა თუ იმ საკითხზე საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთების მიმართ აგდებული დამოკიდებულებაა. საქმე ისაა, რომ საერთაშორისო საზოგადოებას ზემოქმედების გაცილებით უფრო ძლიერი ბერკეტი გააჩნია, ვიდრე შეშფოთების გამოხატვა. დარწმუნებული ვარ, თუ ის მოისურვებს, ამ ბერკეტებს აუცილებლად აამოქმედებს და, ჩემი აზრით, გამოსავალი სწორედ ეს არის,** – აღნიშნა ექსპერტმა.

ამასთან, იგი არ გამორიცხავს, რომ მოქმედმა ხელისუფლებამ სამართლიანი არჩევნების ჩატარების შემთხვევაშიც გაიმარჯვოს, თუმცა ამბობს, რომ სამართლიანი არჩევნები ყველა შემთხვევაშია მისაღწევი.

**– ასეთ შემთხვევაში ოპოზიცია სახელმწიფო ორგანოებში იმდენად მაინც მოძლიერდება, რომ ვითარებაზე რაღაც გავლენა მოახდინოს,** – დასძინა ვოლსკიმ.

ხათუნა გაგნიძე

საკომუნიკაციო სფერო

# დღეიდან კოდები იცვლება!

(პირველი გვერდიდან)

**ფიქსური სისტემის მობილური რადიოსატელეფონო ქსელებიდან ფიქსირებული ადგილობრივი სატელეფონო ქსელების აბონენტებთან დაკავშირებას: გამომძახებელმა აბონენტმა უნდა აკრიფოს პრეფიქსი – 8, ოპერატორის არჩევის კოდი (07,10,11,18 და ა.შ.), ან მხოლოდ „8“, შემდეგ გამოსაძახებელი ქალაქის ახალი კოდი და გამოსაძახებელი აბონენტის ნომერი** (მაგალითად, თბილისში დასარეკად გამომძახებელმა აბონენტმა უნდა აკრიფოს პრეფიქსი – 8, ოპერატორის არჩევის კოდი (07,10,11, 18 და ა.შ., ან მხოლოდ პრეფიქსი 8, შემდეგ თბილისის კოდი – 32 და მერე თბილისში გამოსაძახებელი აბონენტის ექვსნიშნა ნომერი – XXXXXXძ.

**საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოს ქალაქებს და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებში დასარეკად გამომძახებელმა აბონენტმა უნდა აკრიფოს საქართველოს კოდი – 995, გამოსაძახებელი ქალაქის კოდი და შემდეგ ამ ქალაქში გამოსაძახებელი აბონენტის ნომერი (მაგალითად, საზღვარგარეთიდან თბილისში დასარეკად გამომძახებელმა აბონენტმა უნდა აკრიფოს +, საქართველოს კოდი – 995, თბილისის ახალი კოდი – 32 და გამოსაძახებელი აბონენტის ექვსნიშნა ნომერი).**

***გთავაზობთ საქართველოს ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების გეოგრაფიული ზონების ახალ კოდებს:***

| № | ქალაქი, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი | გეოგრაფიული ზონის კოდი (ახალი) | გეოგრაფიული ზონაში აბონენტის ნომრის (ნომრის) სიგრძე |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | თბილისი | 32 (33- რეზერვი) | XXX XXXX |
| 2 | რუსთავი | 341 | XX XXXX |
| 3 | ახალგორი | 342 | XX XXXX |
| 4 | ცხინვალი | 344 | XX XXXX |
| 5 | სტეფანწმინდა | 345 | XX XXXX |
| 6 | დუშეთი | 346 | XX XXXX |
| 7 | ჯავა | 347 | XX XXXX |
| 8 | თიანეთი | 348 | XX XXXX |
| 9 | ახმეტა | 349 | XX XXXX |
| 10 | თელავი | 350 | XX XXXX |
| 11 | საგარეჯო | 351 | XX XXXX |
| 12 | ყვარელი | 352 | XX XXXX |
| 13 | გურჯაანი | 353 | XX XXXX |
| 14 | ლაგოდეხი | 354 | XX XXXX |
| 15 | სიღნაღი | 355 | XX XXXX |
| 16 | დედოფლისწყარო | 356 | XX XXXX |
| 17 | მარნეული | 357 | XX XXXX |
| 18 | ბოლნისი | 358 | XX XXXX |
| 19 | თეთრიწყარო | 359 | XX XXXX |
| 20 | დმანისი | 360 | XX XXXX |
| 21 | ნინოწმინდა | 361 | XX XXXX |
| 22 | ახალქალაქი | 362 | XX XXXX |
| 23 | წალკა | 363 | XX XXXX |
| 24 | ასპინძა | 364 | XX XXXX |
| 25 | ახალციხე | 365 | XX XXXX |
| 26 | ადიგენი | 366 | XX XXXX |
| 27 | ბორჯომი | 367 | XX XXXX |
| 28 | ხაშური | 368 | XX XXXX |
| 29 | ქარელი | 369 | XX XXXX |
| 30 | გორი | 370 | XX XXXX |
| 31 | კასპი | 371 | XX XXXX |
| 32 | გარდაბანი | 372 | XX XXXX |
| 33 | მცხეთა | 373 | XX XXXX |
| 34 | თიანეთი | 374 | XX XXXX |
| 35 | მესტია | 410 | XX XXXX |
| 36 | სამტრედია | 411 | XX XXXX |
| 37 | აბაშა | 412 | XX XXXX |
| 38 | სენაკი | 413 | XX XXXX |
| 39 | ხობი | 414 | XX XXXX |
| 40 | ზუგდიდი | 415 | XX XXXX |
| 41 | წალენჯიხა | 416 | XX XXXX |
| 42 | ჩხოროწყუ | 417 | XX XXXX |
| 43 | მარტვილი | 418 | XX XXXX |
| 44 | ჩოხატაური | 419 | XX XXXX |
| 45 | ბათუმი | 422 | XX XXXX |
| 46 | ხულო | 423 | XX XXXX |
| 47 | შუახევი | 424 | XX XXXX |
| 48 | ქედა | 425 | XX XXXX |
| 49 | ქობულეთი | 426 | XX XXXX |
| 50 | ხელვაჩაური | 427 | XX XXXX |
| 51 | ქუთაისი | 431 | XX XXXX |
| 52 | ვანი | 432 | XX XXXX |
| 53 | ხარაგაული | 433 | XX XXXX |
| 54 | ბაღდათი | 434 | XX XXXX |
| 55 | საჩხერე | 435 | XX XXXX |
| 56 | წყალტუბო | 436 | XX XXXX |
| 57 | ლენტეხი | 437 | XX XXXX |
| 58 | ამბროლაური | 439 | XX XXXX |
| 59 | სოხუმი | 442 | XX XXXX |
| 60 | გაგრა | 443 | XX XXXX |
| 61 | გუდაუთა | 444 | XX XXXX |
| 62 | ოჩამჩირე | 445 | XX XXXX |
| 63 | ტყვარჩელი | 446 | XX XXXX |
| 64 | გალი | 447 | XX XXXX |
| 65 | გულრიფში | 448 | XX XXXX |
| 66 | ცაგერი | 472 | XX XXXX |
| 67 | ონი | 473 | XX XXXX |
| 68 | ჭიათურა | 479 | XX XXXX |
| 69 | თერჯოლა | 491 | XX XXXX |
| 70 | ზესტაფონი | 492 | XX XXXX |
| 71 | ფოთი | 493 | XX XXXX |
| 72 | ლანჩხუთი | 494 | XX XXXX |
| 73 | ხონი | 495 | XX XXXX |
| 74 | ოზურგეთი | 496 | XX XXXX |
| 75 | ტყიბული | 497 | XX XXXX |

ნამყო და მყოფადი

# საქართველოს „ვარდების რევოლუციის“ მუტანტები თუ საუფლისწულო სამთავროების აჩრდილები?

აი, მივადექით კიდეც უკიდურეს ზღვარს, რისკენაც გვიბიძგა წარმოჩენილმა ნაპოლეონიკომ. მაგრამ საერთაშორისო გაერთიანებამ, ასეთი მგრძნობიარე რომაა ყოველგვარი პოლიტიკური მანიპულაციებისადმი, უგულებელყო საკითხი სააკაშვილისეული გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის კანონიერების შესახებ. განა ამ გუნდმა არ გამოაცალა ედუარდ შევარდნაძეს პრეზიდენტის სავარძელი? სხვათა შორის, ამ უკანასკნელი პიროვნების შეფასება არ არის ამჟამად ჩვენი ყურადღების საგანი, — მან ბევრი ისეთი რამ გააკეთა საქართველოში, რაზეც წარმოდგენაც არა აქვთ ჩვენსა და თქვენს ჭკუათმყოფელებს. მაგრამ — მაპატიეთ! შევარდნაძის კრახი საპარლამენტო სარბიელზე იქცა რუსული პოლიტიკის წარუმატებლობად ჩვენს მხარეში. როდესაც ხმალი გადაუტყდა ამერიკელ ნეოკომებთან შეტაკებაში, რუსეთმა შეცდომა დაუშვა. რუსეთმა წინასწარვე გასწირა წარუმატებლობისთვის ამიერკავკასიაში თავისი პოლიტიკის ერთგული გამტარებელი, მოითხოვდა მისგან საქართველოსთვის მიუღებელი, უკიდურესად რადიკალური ზომების მიღებას, რითაც შევარდნაძე გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. თუმცა, ვიმეორებთ, სწორედ შევარდნაძე იყო საქართველოში რუსეთის პოლიტიკის ყველაზე ერთგული და მკაცრი განმახორციელებელი. თუ ასეა, მაშ რატომ? პასუხი არაა — როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე: „განსაიდუმლდება სამოცდაათი წლის შემდეგ“, თუ უახლოეს მომავალში არქეოლოგები ვერ აღმოჩნდნენ ამ საიდუმლოებებს სამთავისის სამარხებში...

ეგრეთ წოდებული „ვარდების რევოლუცია“, მოწყობილი საქართველოში ნეოკომკავშირელთა ჯგუფის მიერ, იყო ჩვეულებრივი სასახლის გადატრიალება. ის იყო უკანონო აქცია, პროვოცირებული ამერიკელი ავღანელი თალიბების ბებიაქალების, ზოგიერთი ადგილობრივი ინტერესანტებისა და აშკარა ჩერჩეტების მიერ. საქართველოს გაზეთებში მაშინ წერდნენ: „ახლად დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნები არაკონსტიტუციურია!“. ერთ-ერთი ქართული გაზეთი „ჯორჯიან ტაიმსი“ სიტყვას აძლევდა ცნობილ ქართველ სამართალმცოდნეებს.

— 22 ნოემბერს პარლამენტი ლეგიტიმური იყო. კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილში ჩაწერილია, რომ ახალი პარლამენტის მოწვევის შემთხვევაში წინა კარგავს უფლებამოსილებას. ამ შემთხვევაში ახლადარჩეული პარლამენტი მოწვეული იყო, პრეზიდენტმა დაიწყო თავისი გამოსვლა, მაგრამ ვერ შეძლო მისი დამთავრება; სხდომათა დარბაზში შემოიჭრნენ „ახალი მოიერიშეები“, ხოლო თუ რას სჩადიოდნენ ისინი და რამდენი რამ დაამსხვრიეს მაგიდებზე სირბილის დროს, ყველამ თავისი თვალით იხილა სატელევიზიო ეკრანებზე.

იურისტები აღნიშნავენ, რომ იმ ჯგუფის მოქმედებათა შედეგად დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლი. პარლამენტი ხომ არჩეული იყო კანონიერი გზით, და ავტომატურად შეწყდა 1999 წლის პარლამენტის უფლებამოსილება. მისი უფლებამოსილება შეწყდა სწორედ იმ მომენტში, როგორც კი დაიწყო ახალი პარლამენტის სხდომა, მაგრამ სწორედ ამ დროს ადგილობრივი ნაროდოვოლცები სუნზე გაჰყვნენ საშოვრისთვის თავიანთ „ვარდოვან“ ბელადებს, — იმ წუთს მათ თავი ეპოსის გმირებად წარმოედგინათ!... ანდა „შაჰ-ნამედ“ ნატურაში...

მაგრამ, მოდით, იურისტებს მოვუსმინოთ. მათი დაკვირვებით, კანონის შემდეგი დარღვევა იყო ის, რომ უმაღლესმა სასამართლომ გაუქმებულად გამოაცხადა იმ არჩევნების შედეგები, რომლებიც გაიმართა პროპორციული წესით. არადა, ეს საკონსტიტუციო და არა უმაღლესი სასამართლოს კომპეტენცია გახლდათ! მაშინ მოქმედი პრეზიდენტი ხელს არ აწერდა დოკუმენტს თავისი გადადგომის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული გაზეთი სამართალმცოდნე სპეციალისტს ეკითხება: — ჩაითვლება კანონიერად 2004 წლის 4 იანვრისთვის დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნები, თუ არ არის ოფიციალური დოკუმენტი ე.შევარდნაძის ხელმოწერით გადადგომის შესახებ?

ჯერ ერთი, პრეზიდენტს ხელი არ მოუწერია დოკუმენტისთვის საპრეზიდენტო ხელისუფლებიდან თავისი წასვლის შესახებ; მეორეც, მას ხელიც რომ ჰქონდეს მოწერილი მასზე, მაინც კონსტიტუციის 63-ე და 75-ე მუხლები იქნებოდა დარღვეული, ვინაიდან პრეზიდენტის გადადგომა მოხდა ძალისმიერი ზომების გამოყენების შედეგად. 63-ე მუხლში აღნიშნულია, რომ პრეზიდენტს შეიძლება ჩამოერთვას თანამდებობა იმპიჩმენტის შედეგად, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს უჭერს პარლამენტის შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი. ამ დროს 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის კოდექსის სხვა დარღვევების შემთხვევაში, პარლამენტს, 63-ე მუხლის თანახმად, შეუძლია გაათავისუფლოს პრეზიდენტი დაკავებული თანამდებობიდან იმ შემთხვევებში, თუ:

აძ კონსტიტუციის დარღვევა დასტურდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით;

ბძ სახელმწიფო ღალატი და სისხლი სამართლის სხვა დანაშაულების ნიშნები დასტურდება უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით.

მაგრამ იყო კანონის სხვა დარღვევებიც, — შეგვახსენებენ იურისტები. — იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი ტოვებს თავის პოსტს ვადამდე, მის მოვალეობებს ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე. და მაშინ მან 45 დღის განმავლობაში უნდა მოაწყოს არჩევნები, რომლის დროსაც არ აქვს უფლება განახორციელოს საკადრო გადაადგილებანი, რაც კანონის პირდაპირი დარღვევაა. ქვეყანაში წარმოდგენილია პოლიტიკური ხელისუფლების ორი შტო: საკანონმდებლო და აღმასრულებელი, მაგრამ არის იურიდიული ხელისუფლებაც — ეს სასამართლოა. ამჟამად კი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება საქართველოში არ არის ლეგიტიმური. ის ვითარება კი, რომ ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ იკისრა პრეზიდენტის მოვალეობათა შესრულება ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტის წასვლამდე, იყო კონსტიტუციის 76-ე მუხლის დარღვევა...



მაშ რატომ აღიარეს რუსეთის დემოკრატებმა მიხეილ სააკაშვილის უფლებები საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის რანგში? ყოფილი პრეზიდენტი ხომ, დაე თუნდაც მან ბევრი რამ დაარღვია სამამულო საქმეში, მიუხედავად ამისა, რესპუბლიკური და მთელი საერთაშორისო უფლების საზოგადოდ მიღებული ნორმების შესაბამისად, მაინც კვლავ რჩებოდა საქართველოს პრეზიდენტად! მაგრამ რუსული ჟურნალისტიკის „ოქროს კალმებმა“ თავგანწირვით დაამკვიდრეს და არ იშურებდნენ მელანს საქართველოს პრეზიდენტის დასაცავად. სამწუხაროდ, იცავდნენ იმას, ვინც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დაებრმავებინათ და გაეტუტუცებინათ ქართველი ხალხი, გაემწესებინათ იგი ციხეებში, წამების კამერებში. უკვე 2004 წელს საქართველოს ციხეებში 43 პატიმარი გარდაიცვალა, 2005 წელს — 46, 2006 წელს— 72. ეს საქართველოში პატიმრების მთელი ოდენობის 0,1 პროცენტია. ერთ დღეს პოლიციელებმა ციხის პატიმრების მთელი ჯგუფი დახვრიტეს. ამ დროს გამჭვირვალებაზე შეიძლება იყოს აქ საუბარი?!

აქ აღარ ვსაუბრობთ, 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკულ ომზე, რის შედეგადაც საქართველომ დაკარგა თავისი ტერიტორიის 20 პროცენტზე მეტი, დამატებით მიიღო უამრავი დაღუპული და ათეული ათასობით ლტოლვილი და გაუბედურებული, სამაგიეროდ ურცხვად გავყვირით წარმატებაზე და გამარჯვებაზე ამ ომში, რაც, ალბათ, უპრეცედენტოც კია არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

როდესაც რუსეთის ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდა საქართველოს აგრესიული მოქმედებებითა და ყველაზე სერიოზული სანქციებით ეკონომიკისა და პოლიტიკის ყველაზე უმნიშვნელოვანეს ფრონტზე, მძიმე დარტყმა მიაყენა „ჯარისკაცის მამას“, მშრომელ გლეხობას, ინტელიგენციას, მეცნიერებს... მან ზურგი შეაქცია ქართველ ხალხს. რუსეთის ხელისუფლება ზეიმობს: „ეგეც თქვენ, ქართველებო, ხომ მიიღეთ, რაც გინდოდათ!“ მაგრამ გამოვიდა კიდევ უფრო უარესად. ვინაიდან როდესაც ფასები პურზე, ნავთობზე, კვების პროდუქტებზე სულ უფრო და უფრო მაღლა მიიწევს, კრიმინალი თავისი ახალი უფროსების დაცვით კმაყოფილებით იფშვნეტენ ხელს. რუსეთის ტელეეკრანებიდან კი მრისხაზედ შემოგვცქერის წარბშეკრული ბატონი ონიშჩენკო, რომ აღარაფერი ვთქვათ უმაღლეს ხელისუფლებაზე, რომელთაც საქართველოს გაგონებაც აღარ სურთ და მომენტს არ უშვებენ ხელიდან, გვლანძღონ, გვაგინონ, არ დაიშურონ ძალ-ღონე ქვეყნის შემდგომი დაბრკოლებებისკენ ბიძგისთვის.

და, შეუიარაღებელი თვალითაც მოჩანს, რომ ასეთი პოლიტიკით რუსეთის ხელისუფლება წყალს ასხამს საქართველოში სააკაშვილის განუსაზღვრელობის წისქვილზე.

პრაქტიკულად ყველაფერი, რასაც აკეთებენ და რაზეც საუბრობენ რუსეთში საქართველოსთან დაკავშირებით — უმაღლესი დონიდან უბრალო მილიციონერებამდე (ახლა ეს უკანასკნელებიც პოლიციელებად იქცნენ), — ყველაფერი საქართველოს პრეზიდენტის სასიკეთოდ ბრუნდება. ვინაიდან ეს მას აძლევს საშუალებას ადვილად გამოძვრეს ჩიხებიდან — გაამართლოს საქართველოს დამარცხება, ეკონომიკის ვარდნა, სოციალური სიცოცხლისუნარიანი ინსტიტუტების უქონლობა, სიღარიბე, უსამართლობა და უმუშევრობა. პრეზიდენტის გუნდმა, რომელიც ამერიკის ფულით ცხოვრობს, გაანადგურა საქართველოს მეცნიერება, მიაყენა სერიოზული დარტყმა კულტურას, განათლებას და ყველა იმ ტრადიციას, რაც საუკუნეების განმავლობაში დამახასიათებელი იყო ქართველი ხალხისთვის.

სააკაშვილი აკეთებდა და აკეთებს ყველაფერ შესაძლებელს, რათა ზიანი მიაყენოს ქართველ და რუს ხალხს შორის ტრადიციულ და მჭიდრო ურთიერთობებს, დააშოროს ერთმანეთს დიდი ხნის წინათ დანათესავებული მეზობლები, რომლებმაც გაიარეს ერთობლივი ცხოვრების ხანგრძლივი ისტორიული გზა, ერთიანი სულიერი მსოფლმხედველობით. სამაგიეროდ ავიღეთ წარწერები რუსულ ენაზე, და ახლა ყველა — დიდიან-პატარიანად — ვკითხულობთ მხოლოდ ინგლისურად ამერიკული წარმოთქმით! ჩვენ მივიღეთ ობერ-მერაბიშვილი, რომლის წინამძღოლობითაც სამთავრობო ხელაღებულები სისტემატურად და დაუსჯელად ეწევიან გამომძალველობას, შანტაჟს!.. იცით თუ არა, ბატონებო, რომ 14 წლის ბიჭუნას 10 წლის ციხე მიუსაჯეს? ჰოდა, რას მიიღებს საზოგადოება მისი სახით, როდესაც პატიმრობიდან დაბრუნდება? სხვათა შორის, საქართველოს ამჟამინდელმა პატრონებმაც კი — ამერიკელებმა — გამოხატეს თავიანთი უკმაყოფილება, როდესაც იგრძნეს „რაღაც არასასიამოვნო“ ჩვენს პენიტენციალურ სისტემაში. ჩამოსული ექსპერტები, როგორც იქნა, მიხვდნენ, რომ ადამიანის უფლებები საქართველოში ირღვევა ყოველ ნაბიჯზე. მხოლოდ ერთი რამ ვერ გაიგეს ჩვენმა „მფარველებმა“, კერძოდ ის, რომ საქართველოს სახელმწიფოში არ შეიძლება დაირღვეს ის, რაც მასში არ ყოფილა ჯერ კიდევ სოციალიზმის დროიდან და არც დღემდე არის! გულუბრყვილო დასავლეთმა, ეტყობა, არ იფიქრა, იოლად მოახდინა საქართველოს გამოუსწორებელი ავთვისებიანი კორუფციის პროეცირება რომელიღაც გალატაკებულ ლუქსემბურგთან! ვინაიდან, თუ ადრე, ვთქვათ, შეიძლებოდა მიგეცა ასი ლარი ხელის დასამშვენებლად, ახლა იგივე ხელის გულის მოსაგებად მთელი 300 ლარიც არ გეყოფა, თქვენ კიდევ გაიძახით, რომ — „ადამიანის უფლებებიო!“ სამაგიეროდ ახლა ერთ სულ მოსახლეზე გვაქვს მეტი შადრევანი, ვიდრე რაღაც ვერსალში ან პეტერგოფში ერთად აღებული. ამისთვის დააჯილდოვა ხალხმა პრეზიდენტი „პირველი შადრევნის“ ტიტულით. სხვათა შორის, ეს საშადრევანო სკერცო შედის სახელმწიფო იდეოლოგიის სულიერ კომპონენტში, მიტინგების თანაბრად, სადაც ბედნიერი ხალხი ესალმება თავის პრეზიდენტს, მკვეთრად გაახალგაზრდავებული არითმიის მსგავსად, და მაინც საციხო ტკივილით, სადაც სხედან... ფეხზე დგომით!.. საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს თავის პოპულისტურ მანიპულაციებს ხალხთან. საქართველოს პრეზიდენტი მერამდენედ გამოსცემს ჩვენთვის შემაშფოთებელ ძახილს და გამოდის კოდორის ბილიკზე, დასრიალებს თხილამურებით ანდა უეცრად ახდენს სააპარატო გადაადგილებებს. მაგრამ ხომ ყველასთვის ცნობილია, რომ შესაკრებთა გადაადგილებით ჯამი არ იცვლება. ასე რომ, მშრალი ნარჩენის ქართულ ვარიანტში ფასები იზრდება, კრიმინალი კმაყოფილებით იფშვნეტს ხელებს. საცივს კი მიირთმევს ვიღაც ადგილობრივი აბრამოვიჩი, თანაც სანამ იგი სიუზერენის ერთგულია. და პირანიები, ვისთვისაც სის-

ხლის ზღვა მხოლოდ სიამოვნებაა. მთელი ეს ჩინოვნიკური საკლავი ხომ ძირითადად სხვადასხვა კალიბრის წარსულის ქართველი საბჭოთა წარჩინებული მოხელეები არიან, ამჟამად კი წარმატებული და გაქნილი მლიქვნელები. დიდი ხნით ადრე, ჯერ საბჭოთა დროის გარიჟრაჟზე მათ კრასინიდან და ჩვენი საერთო ისტორიის სხვა საპატიო პერსონაჟებიდან გადმოიღეს „ექსპროპრიაციის სისტემა", სრულყვეს იგი შეთავაზებული ვითარების შესაბამისად.

რუსეთმა, არსებითად, საქართველო გადასცა ამერიკელებს, რომლებმაც იმ დროისათვის სასახელოდ იშრომეს პლანეტის მრავალ განედზე, ისწრაფოდნენ შარიათის კანონები შეეცვალათ დასავლური ცხოვრების წესით, რომელიც ვერაფრით ვერ დამკვიდრდება, ვთქვათ, საუდის არაბეთში, ანდა ერაყში. ჩაფრინდნენ, გაიჩხირნენ... ახლა კი ვერ გარკვეულან, როგორ მოიქცენ მუსლიმანების ქუჩაზე. ძნელია, არ შენიშნო მათი ხელი ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის არაბული სამყაროს დღევანდელ მოვლენებში.

შეხედეთ, როგორი კარგი შეკითხვა დასვა ჟურნალისტმა ჯულიანა სგრენმა: რატომაა, რომ „გათავისუფლებულები ესვრიან გამთავისუფლებლებს"? თავის დროზე ჯერ კიდევ რედიარდ კიპლინგი აფრთხილებდა ბავშვებს, რომ ამით მათ არაფერი გამოუვათ! არ დაუგდო ყური წინასწარმეტყველის ხმას ასეთ საქმეში დიდად გამოცდილმა ბრიტანეთის იმპერიამ და მიიღო ავღანეთი, რომელმაც თანაც მადიანად მიაფურთხა გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, ახლა კი შიიტები, სუნიტები, ქურთები, ალ-ყაიდის ადგილობრივი ერაყელი წინამძღოლები – ყველაფერი აირია მესოპოტამიის სახლში, სადაც ტიგრისა და ევფრატის გვერდით ადინდა ფართო სისხლიანი მდინარე!.. ჯერჯერობით კი მესოპოტამიელი ჰამურაბი საუკუნეების მტვერიდან გაოგნებული მისჩერებია ვიღაც მისთვის გაუგებელ განმათავისუფლებლებს, ერაყს, რომელიც სამ ნაწილად დაიშალა, ახარებს ირანი თავისი შიიტური რენესანსით ახალგაზრდა მუქტადი ალ-სადრას ხელმძღვანელობით!..

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს ფარას. როდესაც თავისი საქმე გააკეთა და გახდა ერაყის ომის დიდების ორდენის სული კავალერი, ბუშმა გადაწყვიტა მოეხედა ჩვენთვის, საწყალი ქართველი „უცხოტომელებისთვის". მადლობა ღმერთს, სულ ახლოს, კაპიტოლიუმის ძეძების კალთაზე იწრთობოდა საქართველოს მომავალი მხსნელი, ნორჩი მიშა სააკაშვილი. ის იძენდა გამოცდილებას იურიდიულ კანტორაში, თავისუფალ დროს კი თავის მეგობარ გოგონასთან ერთად წრეებს არტყამდა დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს ირგვლივ. ესეც საინტერესო სიუჟეტია დამწყები „ნეოლენინელებისთვის" იმ პირობით, თუ მათ ზურგს უმაგრებენ ძალები, რომლებმაც მოასწრეს წინასწარ, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში კარგი სანიშნებლები გაეკეთებინათ თავისი მომავალი გავლენის ტერიტორიაზე. მაგრამ უმჯობესია მაღალზე ვილაპარაკოთ. იმაზე, რომ ბუშმა გადაწყვიტა, მთელი პროგრამით გაენათლებინა ახალი სამყაროდან შორს მყოფი ჯორჯია. როგორც ბოროტი ენები ამბობენ, სახელოვანი პატარა ბუში ცუდად იყო განათლებული და არ იცოდა ისტორია და გეოგრაფია, პატივს სცემდა თავის მეგობარ კონდოლიზა რაისს არა მხოლოდ ერთგულებისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ იგი ფორტეპიანოზე უკრავს ბრამსს. და გამოვიდა ისე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ვიდრე დაიწყებდა საგანმანათლებლო საქმიანობას ამიერკავკასიაში, არ დაინტერესდა – რა ეწერა ბრიტანეთის ენციკლოპედიაში ასო „ჯ"-ზე. არადა, მას რომ „ბრიტანიკაში" ჩაეხედა, გაიგებდა, რომ სურვილში – გაენათლებინა ქართველები, მას უკვე დიდი ხანია, ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში, დაასწრო წმინდა ნინომ, რომელიც სპეციალურად ამისთვის კაპადოკიიდან ჩავიდა ქალაქ მცხეთაში. თუმცა ის მივიდა ხალხთან, რომელსაც უკვე ჰქონდა თავისი ანბანი. – მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა. მოხდა უბედურება. მხოლოდ ასე შეიძლება ეწოდოს საქართველოს მმართველთა საქართველოდან რუსეთის გამოდევნის დღევანდელ პოლიტიკას. ვინაიდან ამ ორი სახელმწიფოს ისტორიული გზის ნებით, რამაც შეაკავშირა მათი ხალხების ბედი და სულიერი ერთიანობა მართლმადიდებელ სივრცეში, საქართველოსთვის წინასწარ არის განსაზღვრული არსებობა რუსეთის მეგობრისა და მისი საიმედო მოკავშირის სახით. რა შეიძლება ჰქონდეს საქართველოს ოკეანისგაღმელ სახელმწიფოსთან? აბრები საქართველოს ქალაქების ქუჩებში ინგლისურ ენაზე? ვაი რომ ხალხის ნაწილი აჰყვა გაუთავებელ ლაყბობას, დაშინებას და რეპრესიებს, და დაბნეულობის ამ ენერგიამ დააყრუა და დააბრმავა იგი...

სამწუხაროდ, საქართველოში არ არის „მომუშავე" ოპოზიცია. ძირითადად – ეს არის ხელისუფლების კრიტიკა, ემოციური, მაგრამ არა დამარწმუნებელი, ან „უპროგრამო". ოპოზიციონერებს ჯერჯერობით არაფერი აქვთ მოსახლეობისთვის შესათავაზებელი, გარდა იგივე ველოსიპედის გამოგონებებისა, მოძველებული კონსტრუქციების რეალიზაციისა დაჟანგულ საყრდენებზე. ვინაიდან არ არის პოლიტიკური ელიტა – ანდა, ვინ მოგცემს ამის ნებას? რის ბევრი ხმაური, ლოზუნგი, თავხედობა და თვითდარწმუნებული ტრახაბი. სპეცსამსახურებმა კი, რომლებიც განსაკუთრებით აუცილებელი ეპოქების გარდატეხის ზღვარზე, მაინც ვერ შეიძინეს პატრონი პროფესიული ორიენტაციებითა და მიზნებით. დარჩა იგივე საშუალებები თირკმლების დასაზელად და ეროვნული შეგნების დასამსხვრევად. ასეთი „პატრონობის" დროს კი, გასაგებია, დემოკრატიულ სახელმწიფოს ვერ ააშენებ. ასე რომ, ყველა იმედი ერთ მილზეა!..

თუმცა არც კრემლშია და არც იქნება ალტერნატიული დოქტრინა, რომელიც იქნება პასუხისმგებელი საქართველოსთან ურთიერთობისთვის.

საქმე სააკაშვილში როდია, არამედ ეს არის ის, რომ საქართველოს პრეზიდენტი არ უნდა იყოს ამერიკის შეერთებული შტატების დაყენებული, თუნდაც იგი „სამგზის იყოს არჩეული თავისი ხალხის მიერ დემოკრატიული გზით". აქედან მოდის რუსეთელი პირფერების ბრძნული შეგონებანი იმის შესახებ, რომ, აიო, რას განიცდით სამხრეთი ოსეთის გამოყოფასო, რომ ეს არის საქართველოს ტერიტორია, რომელზეც დიდი ხანია ცხოვრობენ მატერიკული, რუსეთის ოსეთიდან გადმოსახლებულები, რომ ოსეთი რუსეთის იმპერიაში შევიდა საქართველოზე ადრე და ახლა, როგორც იქნა, მოიპოვა დამოუკიდებლობაო. რასაკვირველია, საქართველოს ფეოდალური სამეფოები და სამთავროები ერთბაშად არ შესულან რუსეთის შემადგენლობაში – ქართლ-კახეთის, იმერეთის სამეფოები, სამეგრელოს, გურიის... სამთავროები თანდათანობით შედიოდნენ. სხვა ყველაფერი – ჩვეულებრივი პოლიტიკური რიტორიკაა. როდესაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელს ა.ლავროვს შეეკითხნენ – „რა გინდათ საქართველოსგან?" – მან უპასუხა: – „მათ თავად იციან, თუ რა გვინდა ჩვენ მათგან!" რასაკვირველია, ვიცით, ეს კოდი დიდი ხანია ამოცნობილია: სანამ საქართველოს პრეზიდენტი „ახალი ამერიკელი" იქნება, საქართველოს მოსახლეობა რჩება კრივის „მსხლად" მუშტების დასაშენად რომ იყენებენ. ის არ გადადგება, – ასეთი რამ ჩვენს განედებში პრაქტიკაში არ არის. კრემლიდან მოწოდებული სიგნალები კი არ იქნა მიღებული. ერთი სიტყვით, საითაც უნდა გაიხედო, როგორც ამბობენ, – ყველგან ერთი და იგივე სურათია. გქონდეს ოპოზიციის იმედი? ჯერჯერობით ეს ფუჭი საქმეა – უცხოეთში ვოიჟები, პათოსი და ფოტოგრაფიები. გამართული ადგილობრივი არჩევნებში? ნუთუ ვირჩევდით ადგილობრივ ხელისუფლებას? მას უბრალოდ მმართველი პარტია ნიშნავდა.

ქალაქ თბილისის მერმა, ცნობილმა გაქნილმა და საკმაოდ გაწაფულმა გიგი უგულავამ განაცხადა: „საქართველოში არ უნდა იყვნენ პარტიები, რომლებიც ეჭვქვეშ დააყენებენ ქვეყნის დამოუკიდებლობას (!?ძ. ჩვენ ბევრ რამეს მივაღწიეთ და არ უნდა შევჩერდეთ შუა გზაში. ჩვენ ახლა უნდა გავაგრძელოთ ბრძოლა საქართველოს საბოლოო გამარჯვებამდე!" აი ასეთია ეგრეთ წოდებული დემოკრატიული სახელმწიფოს პოლიტიკური ეკვილიბრისტიკა. ვინაიდან, თუ შენ პრეზიდენტის წინააღმდეგ ხარ, შენ სამშობლოს მოღალატე ხარ, შენ ვიღაც იგორ გიორგაძე, ასლან აბაშიძე, ბოლოს და ბოლოს, ედუარდ შევარდნაძე ხარ! ვინაიდან, „ვინც ჩვენს მხარეს არ არის – ის ჩვენს წინააღმდეგაა!" ხომ მაგარია, არა?!

**ლილი ბააზოვა,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.**
სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის".

◉ „წარმატებული ქართული სახელმწიფო"

# დასავლური „შეშფოთების" ქართული „რემიქსი"

**(მეორე გვერდიდან)** მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ყველანაირად ბლოკავს სახალხო დამცველის მიერ რეალური მონიტორინგისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ღონისძიებების გატარებას, დასკვნაში მაინც წერია, რომ: **„მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში ერთ-ერთ პრობლემურ სფეროდ კვლავ სასჯელაღსრულების სისტემა რჩება. ძირითად პრობლემებს შორის უნდა დავასახელოთ რიგი სასჯელაღსრულების დაწესებულებების გადატვირთულობა, დაწესებულებების ადმინისტრაციის მხრიდან პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობა, აღნიშნული ფაქტების არასათანადო გამოძიება. გარდა ამისა, კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება პატიმრების ხელმისაწვდომობა შესაბამის სამედიცინო მომსახურებაზე. მონიტორინგის შედეგად ასევე გაანალიზებულ იქნა სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმართა სიკვდილის კონკრეტული მიზეზები. 2010 წლის განმავლობაში გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობამ ბევრად გადააჭარბა წინა წლებში სისტემაში გარდაცვლილთა რაოდენობის მაჩვენებელს".**

მე მგონი აქ უკვე ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია.

ზედმეტია, რადგანაც ამ რამდენიმე დღის წინათ, წინააღმდეგობის მოძრაობის მიერ პატიმრების სიცოცხლისა და უფლებების დაცვის მოთხოვნით გამართულ აქციაზე დაპატიმრებული იყვნენ გიორგი ხარაბაძე, მერაბ ჭიქაშვილი და კახა ჩიქოვანი, ხოლო გია ბურჯანაძეს, ლადო სადღობელაშვილს და კიდევ რამდენიმე აქციის მონაწილეს 400-ლარიანი ჯარიმის გადახდა დაეკისრათ.

სახალხო დამცველის ანგარიშში ძალიან მწვავედ დგას საკითხი ბავშვთა საალმზრდელო დაწესებულებებში არსებული სისტემური და კერძო ხასიათის დარღვევების შესახებ.

**„გამოვლინდა სააღმზრდელი დაწესებულების პერსონალისგან აღსაზრდელთა მიმართ ძალადობის შემთხვევები. ბავშვის განვითარებისთვის შეუფერებელი და ჯანმრთელობისთვის საზიანო გარემო პირობები, ბავშვთა შრომის გამოყენება, ბავშვთა დისკრიმინაცია. ასევე სერიოზული პრობლემაა ბავშვთა არასაკმარისი კვება, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მწვავე ნაკლებობა. დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში აღმოჩენილია სერიოზული ხარვეზები".**

ანგარიშში საკმაოდ სერიოზული ადგილი დაეთმო დევნილთა პრობლემებს. იყო საუბარი **„ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში ჩარევისა და ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელისშეშლის, ხოლო რიგ შემთხვევებში მათი ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებზე".**

ბევრს არ ვილაპარაკებ და ამ წერილს ერთი შეკითხვით დავამთავრებ:

**იტყვის ამ ყველაფერს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის „მაღალი ტრიბუნიდან"?**

**გაიგებენ ყველაფერს დემოკრატიის დასავლეთელი „მამები"?**

ჩვენც ვიცით (და ცოტა უფრო მეტიძ.

მაგრამ მერე რა?

მერე რა? ვინ აგებს პასუხს იმ ყველაფერზე, რასაც თუნდაც სახალხო დამცველი ლაპარაკობს?

არავინ?

ე.ი. ესეც ისეთივე ფარსია, როგორიც ე.წ. „წარმატებული ქართული სახელმწიფო"?

**ე.ი. ესეც იმ ცნობილი დასავლური „შეშფოთების" ქართული „რემიქსია"?**

**ჰო, როგორც ჩანს ასეა!**

**გია გაბრიჭიძე**

◉ სიახლე

# მოითხოვეთ სასამართლო სხდომის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი!..

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის" ოფისში პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც ითქვა, რომ ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გამოითხოვოს სასამართლო სხდომების აუდიოჩანაწერი.**

როგორც ცნობილია, სასამართლო სხდომათა დარბაზში, დერეფნებსა და ეზოშიც კი, კანონით აკრძალულია ნებისმიერი ვიდეო და ფოტოგადაღება. თუმცა, ასეთი ქმედება ეწინააღმდეგება განხილვათა საჯაროობის პრინციპებს.

საერთო სასამართლოების შესახებ კანონით დადგენილი აკრძალვა სასამართლოს შენობასა და ეზოში ვიდეო და ფოტოგადაღებაზე აღარ იქნება ხელშემშლელი თუ დაინტერესებული პირი მოითხოვს და ხელზე მიიღებს სხდომის აუდიოჩანაწერის ასლს. ადვოკატს შესაძლებლობა ეძლევა აუდიოჩანაწერი გამოიყენოს, როგორც მტკიცებულება.



აღსანიშნავია, რომ „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტს" ბოლო ერთი წლის განმავლობაში, აუდიოჩანაწერების გაკეთების შესახებ შუამდგომლობა 2008 წლის აგვისტოს ომით დაზარალებულთა შვიდ საქმეზე დაუყენებია, თუმცა სასამართლომ არათუ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, არამედ უარიც კი არ დაასაბუთა. ასეთი ქმედებით, სასამართლომ დაარღვია საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-13 მუხლი. არადა, ამ მუხლით, სასამართლო ვალდებულია, მიიღოს მოტივირებული გადაწყვეტილება.

დღევანდელი ტექნოლოგიების პირობებში სასამართლოს სხდომათა დარბაზში აუდიოჩანაწერის გაკეთება უკვე სრულიად ხელმისაწვდომია, რაც ქართული მართლმსაჯულების საჯაროობისა და გამჭვირვალობის საფუძველი უნდა გახდეს. 2010 წელს ქვეყნის მასშტაბით, 25 სასამართლოში დამონტაჟდა 78 ერთეული აუდიოჩამწერი მოწყობილობა.

ვესაუბრეთ „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის" პროგრამის კოორდინატორს ნინო ციხისთავს.

**– დახურული სასამართლო პროცესი მის სუბიექტურობაში ეჭვის შეტანის საშუალებას იძლევა?**

– სასამართლოსადმი საზოგადოებას ძალიან დაბალი ნდობა აქვს. ეს ჩანდა ყოველი სასამართლოს სხდომის დასრულების შემდეგ. იქამდე, სანამ ხელმისაწვდომი იქნებოდა სასამართლოს აუდიო და ვიდეო ჩანაწერები. სწორედ ამით ძლიერდება სასამართლოს საჯაროობა და ხელმისაწვდომობა. იუვესაიდის ძალიან კარგი პროექტი დაეხმარა საქართველოს მოსახლეობას, სასამართლო პროცესის ხელმისაწვდომობის ამაღლებაში. მე არა ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოს ყველა რეგიონის მოსახლეობა ფლობს ამ ინფორმაციას.

**– ხომ არ ჯობდა რომ სასამართლო პროცესი ღია ყოფილიყო მასმედიისთვის და გადაღება – შესაძლებელი?**

– აღსანიშნავია, რომ როცა სასამართლო ჩაწერა და გადაღება ხდებოდა, ნდობა მეტი იყო. არსებობს პროცესები, რომლებიც დიდ ინტერესს იწვევს, დარბაზები კი მცირეა და ცოტა ხალხს იტევს. ამიტომ ეს სიახლე მართლაც კარგია.

**– სასამართლო ვიდეოჩანაწერის მოპოვების უფლება თურმე რამდენიმე თვეა გვაქვს, მაგრამ ამის შესახებ დღეს შევიტყვეთ.**

– დიახ, რამდენიმე თვეა ამის შესაძლებლობა არის. ჩვენ გადავწყვიტეთ, გავაგებინოთ საზოგადოებას თავისი უფლებების შესახებ.

**ამიერიდან ნებისმიერ დაინტერესებულ მოქალაქეს უფლება აქვს, წერილობით მიმართოს კონკრეტულ მოსამართლეს და პროცესის დასრულებისთანავე მიიღოს ჩანაწერი.**

**ხატია ცარციძე**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №181

# წიგნი, თეატრალური აზროვნების ნიუანსებით

**ჩვენს თანამედროვე რეალობაში, როცა ყველაზე მცირე, რიგით ქმედებასაც „მოწყალების" ეპითეტით ნათლავენ, დამაფიქრებელი გახდა „მსოფლიო თეატრის ენციკლოპედიური ლექსიკონის" ფუნდამენტური გამოცემის სრულიად სადა, მაგრამ ორიგინალური პრეზენტაცია... აქ არ წარმოთქმულა აღმატებული სიტყვები, გამოცემის მესვეურთა ქება თუ სამადლობო სიტყვები...**

ნოდარ დუმბაძის სახ. საბავშვო სახელმწიფო თეატრის ფოიესა და მცირე დარბაზში საინტერესო თეატრალური სანახაობა მოეწყო, კარგად გააზრებული სცენარით და სათანადო რეჟისურით დასი „შიშველი თეატრი" (სამხატვრო ხელმძღვანელი ნანა კვასხვაძე, მიმართულების კონსულტანტი მერაბ გეგია, მსახიობები: გურამ ლალიაშვილი, ლილი მეტრეველი, ნუცა მჭედლიშვილი, გივი ჯაფარიძე, გიორგი მაღადაძე, არჩილ გველესიანი) თეატრალური ლექსიკონის ცალკეულ თავებს აცნობდნენ დამსწრე საზოგადოებას. იყო ხალასი იუმორიც, გონებამახვილობაც, დარბაზთან უშუალო, პრობლემატური საუბრებიც...

ეს სრულიად უნიკალური და აკადემიური გამოცემა „მსოფლიო თეატრალური ენციკლოპედიური ლექსიკონი" გახლავთ პირველი ვრცელი მეცნიერულ-საცნობარო გამოცემა ქართულ ენაზე და მოიცავს თეატრის ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე.

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი ბატონი მერაბ გეგია კრებულის დანიშნულებრივ რაობას ამგვარად განმარტავს:

მასში ყურადღება თანაბრად გადანაწილებულია თეატრალური აზროვნების როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე ფორმებზე. პოსტმოდერნისტულმა ეპოქამ თეატრალური პრობლემების განხილვის ახალი რაკურსი შეარჩია. კულტუროლოგიამ, თეატრალურმა ანთროპოლოგიამ, სემიოლოგიამ, თეატრალოგიამ, დისკურსიულმა ლოგიკამ მოითხოვა თეატრის ჩასახვისა და განვითარების ეტაპების მოაზრება საერთო-საკაცობრიო ცივილიზაციის კონტექსტში. XXI საუკუნის ტექნოგენურ-კომპიუტერულმა რეალობამ საგრძნობლად გააფართოვა საკომუნიკაციო ქსელი და დააჩქარა თეატრალური პროცესების ინტეგრაცია. მოვლენების კომპლექსურმა შესწავლამ ცხადჰყო, რომ ცალკეული სპეციფიკის მიუხედავად, კაცობრიობის თეატრალური კულტურა ექვემდებარება განვითარების ერთსა და იმავე კანონზომიერებას. განსხვავებული ეპოქები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ ადამიანთა თამაშისა და პოეტური მედიტაციის მოთხოვნილებებზე, მაგრამ თავად ეს მოთხოვნილებები უცვლელი რჩება და მათი პარადიგმების ამოხსნა დროის შესატყვისად, ნათელს მოჰფენს თანამედროვე თეატრალურ ტენდენციებსაც.

პირველად ქართულ თეატრმცოდნეობაში თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა აღმოსავლური თეატრის თეორიამ და პრაქტიკამ. ჩვენ შევეცადეთ შეძლებისდაგვარად აგვეხსნა უძველესი კულტურის მქონე ერების თეატრალური გამოცდილებანი ძველეგვიპტური თეატრიდან მოყოლებული, თანამედროვე იაპონური თეატრის ჩათვლით.

მნიშვნელვანი ადგილი დაეთმო წარსულში „ტაბუირებულ" რელიგიისა და თეატრის ურთიერთმიმართების თემას. გამოცემის სპეციფიკიდან გამომდინარე (ისევე როგორც სხვა შემთხვევაშიც), ამ და სხვა საკითხების მხოლოდ მონიშვნით შემოვიფარგლეთ, რაც შესაძლოა მომავალში მათი დამუშავების საფუძვლად იქცეს.

გამოცემის საერთო მიზნიდან გამომდინარე, შეძლებისდაგვარად ფართოდ არის წარმოდგენილი მომიჯნავე დისციპლინების – ლიტერატურის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის ცნებები და ტერმინები.

მოცულობის და დახასიათების თვალსაზრისით, სტატიები დაყოფილია ცალკეულ ვრცელ ნარკვევებად, ინფორმაციულ სტატიებად, ცალკეულ მინიშნებებად. შევეცადეთ არგუმენტების გამყარებასაც ფაქტობრივი მასალით.

ფაქტების და მოვლენების აქცენტირების მიზნით გამოყენებულია სხვადასხვა სახის კურსივები (შრიფტის მოცულობა, გამუქება, დახრა და ა. შ.).

წინამდებარე გამოცემა პირველ რიგში ითვალისწინებს თეატრის პრაქტიკოსების ინტერესებს, თუმც იგი გათვლილია უაღრესად ფართო აუდიტორიაზე, რომელშიც შედიან ხელოვნების სხვადასხვა სასწავლებლების პედაგოგები, სტუდენტები, საერთოდ ჰუმანიტარული (და არა მარტო) დარგების წარმომადგენლები. იგი, ამასთანავე, შესაძლებელია გზამკვლევად იქცეს თეატრით დაინტერესებული ყველა პირისათვის. შესაძლებლობის ფარგლებში ვცადეთ გამოცემის შესრულება შედარებით გამარტივებულ ენაზე.



ვსარგებლობ შემთხვევით, რომ მადლობა გადავუხადო საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს, ქართულ ენციკლოპედიას მორალური და ფინანსური მხარდაჭერისათვის.

* * *

**ენციკლოპედიური ლექსიკონი მნიშვნელოვანია საავტორო ნიშნითაც, შემოქმედებითი თვალსაზრისითაც.**

მოცემულია მთავარი რედაქტორის მერაბ გეგიას 24 ავტორისეული სტატია, გულიკო მამულიშვილის, საგულისხმო სტატიები აღმოსავლურ თეატრზე, ია ფარულავას ორი წერილი, მიხეილ ჩეხოვის სტუდიასთან დაკავშირებით.

ლექსიკონში განმარტებულია თეატრის თანამედროვე, უახლესი ფორმებიც, როგორიცაა: ჰეპენინგი, პერფომანსი, აქცია, ბოდიარტი, სპონტანური თეატრი და ა. შ.

მკითხველს ვთავაზობთ ფრაგმენტს ენციკლოპედიური ლექსიკონის ერთ-ერთი თავიდან (ავტ. მ.გეგია), სათაურით „თამაში", ვფიქრობთ, ეს თეორიად ჩამოყალიბებული თემა ისევ აღძრავს ფიქრებს ცნობილ თემაზე, რომ „ცხოვრებაც თეატრია" და სამყარო სცენა, სადაც მარადიულად თამაშდება ჩვენი როლები.

**თამაში** – ადამიანთა საზოგადოებაში თეატრის ჩასახვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა. ტერმინით „თამაში" განისაზღვრება ადამიანისა და ცხოველის მოქმედების ფართო წრე. იგი უპირისპირდება უტილიტარულ-პრაქტიკულ მოღვაწეობას და მისგან განსხვავებით, სასიამოვნო ემოციებს ბადებს თავად ქმედების პროცესში.

ეჭვს არ იწვევს **თამაშის** მიბაძვითი რაობა, მიბაძვა კი წარმოუდგენელია სხვისი როლის გათამაშების გარეშე. ცხადია, რელიგიური ცნობიერების ჩამოყალიბებისთანავე, **თამაშმა** შეიძინა სხვა მიმართულება და მოვლენებზე მაგიური ზემოქმედების საშუალებად იქცა, მაგრამ ამ ვითარებაშიც შეინარჩუნათ მთავარი თვისება – **თამაშით** მოგვრილი სიხარული და შვება.

**თამაშის** პირდაპირი გამოხატულება იყო სპორტული ტურნირები და რიტუალური ინიციაციები. და რომ არა თამაშის რელიგიური შინაარსი, სპორტული შეჯიბრებები უთუოდ გადაწონიდა თამაშის ნებისმიერ სხვა სახეობას და თეატრის ჩასახვა და განვითარება უთუოდ ეჭვქვეშ დადგებოდა.

ამრიგად, ნებისმიერი **თამაში** შეიცავს პერსონაჟს, თეატრის „ფორმულის" აუცილებელ კომპონენტს. იგი პერსონაჟს შეიცავს მაშინაც კი, როდესაც საიდენტიფიკაციო პირი თავად მოთამაშეა. ეს ვითარება აისახება ძალზედ მარტივად – მოთამაშე თავის პერსონას ხედავს მისთვის სასურველ სიტუაციაში, ანუ პერსონაჟს ქმნის თავისივე თავისგან.

ნებისმიერი **თამაში,** ამა თუ იმ ფორმით, შეიცავს ფაბულის ელემენტებს, თუნდაც უმარტივეს დონეზე, მაგრამ თუკი იგი დაკავშირებულია რაღაც მიზანთან, იგი უთუოდ კომპოზიციად ყალიბდება. ბუნებრივია, რომ ტოტემიზმის ხანაში, როცა ადამიანი მთლიანად დამოკიდებული იყო საკუთარი ქმედების წარმატებაზე ნადირობასა თუ შემგროვებლობაში, **თამაშმა** შეიძინა მიზნობრივი ხასიათი და კონკრეტულ სიუჟეტად ჩამოყალიბდა. ცხადია, სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, აქ უპირატესობა მინიჭებული ექნებოდა სამონადირეო რიტუალს. აშკარაა, ზოომორფიზმის ხანამ საფუძველი ჩაუყარა თეატრალურ ხელოვნებას, რადგან ცხოველის მიბაძვა გარდასახვის გარეშე შეუძლებელია.

ანიმიზმის ხანაში, როცა ირგვლივ ყოველივე „გასულიერდა", მიბაძვამ მიიღო სხვა ხასიათი. ერთია, როცა ბაძავ ცოცხალ არსებას და სულ სხვაა, როცა გსურს ასახო გარდაცვლილის სული. სწორედ ამ ხანაში ისახება მისტიკური ექსტაზი, რაც მომავალში თეატრალური ქმედების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახდება.

**თამაშს** სულ სხვა მიმართულება მისცა ლეგენდებისა და თქმულებების წარმოშობამ. ზეპირსიტყვიერება ინახავდა და თაობიდან თაობას გადასცემდა მონათხრობს ამა თუ იმ გმირობაზე, ბელადის სიბრძნეზე, მათი ტომის თუ გვარის წარმომავლობაზე. ტოტემური რიტუალისგან განსხვავებით, რომლეშიც მონაწილეობა ყველასთვის შეუზღუდავი იყო, თხრობამ გაჰყო მთხრობელი და მსმენელი, თანაც ისე, რომ მთხრობელს დააკისრა **თამაშის** ყველა პირობის დაცვა, რომელთაგან უმთავრესი იყო ინტერესის აღძვრა მონათხრობისადმი.

ანტროპომორფიზმის ხანაში, როცა ადამიანმა თავისი თვისებები მიაწერა ღვთაებებს, ფანტაზია სრულიად შეუზღუდავი გახდა და საფუძველი ჩაეყარა მითოლოგიას, როგორც რელიგიური აზროვნების უფრო მაღალ სტადიას. მაგრამ **თამაშის** ტრადიცია არ გამქრალა და იგი ბუნებრივად შეერწყა ახალ პირობებს. მითოლოგიურმა სიუჟეტებმა წარმოშვა მყარი ფაბულები კომპოზიციის ყველა კანონის დაცვით. საწესჩვეულებო რიტუალი და მითოსი შეერთდნენ. წარმოიშვა თეატრის ის სახეობა, რომელმაც არსობრივად უცვლელმა მოაღწია ჩვენამდე. ამრიგად, **თამაში** და რელიგიურ-საკულტო ქმედებები საფუძვლად დაედო თეატრს და კულტურის ეს დარგი, თუმც ამოუცნობად სახეცვლილი, დღემდე ინარჩუნებს ამ თვისებებს.

## მიღვწიან, მომიგონებენ...

# კეთილმსახური ქართული ფოლკლორისა

**თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუზეუმის მომცრო დარბაზი, რომ იტყვიან, ხალხს ვერ იტევდა. გამოჩენილი ფოლკლორისტის, კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის გამგის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ კუკური (ევსევი) ჭოხონელიძის მოსაგონარ საღამოზე შეკრებილიყო ქართული მუსიკალური ელიტა. იგი პატივს მიაგებდა პიროვნებას, ამ შვიდი წლის წინათ მოულოდნელად რომ წავიდა ჩვენგან და დღეს 70 წლისა გახდებოდა.**



თუმცა, ბედნიერი კი წავიდა: მას მიიჩნევდნენ სამშობლოს ღირსეულ მოქალაქედ, ძმობისა და მეგობრობის ეტალონად, ქართული ხალხური სიმღერის უზადო მცოდნედ, კეთილმსახურად (ევსევი, მისი ოფიციალური სახელი, ხომ ბერძნულად კეთილმსახურს ნიშნავს), მრავალი თაობის ფოლკლორისტთა სამაგალითო აღმზრდელად... და ოჯახი... რაღა თქმა უნდა, ოჯახი!. პლეხანოვის პროსპექტის ერთ-ერთ თბილისურ ეზოში მდებარე მისი „ციხე-სიმაგრე" მშვენიერ, სტუმართმოყვარე „ქალთა საკრებულოს" აევსო, მეუღლეს, უერთგულეს ქალბატონ ლიზიკოს გვერდით ედგა და ოჯახში მიმსვლელ-მომსვლელს კეთილ ღიმილს სთავაზობდა სამი და ჭოხონელიძე – თამარი, თინათინი, სოფიო, რომლებიც, მოგვიანებით, ქვეყანამ იცის, უნიჭიერესი მომღერლები გახდნენ (თუმცა ამათგან თამრიკო მაინც გამორჩეული იყო) და მამის იმედად დარჩნენ...

...რამდენი რამ მოიგონეს იმ საღამოს კუკური ჭოხონელიძის კოლეგებმა, ჩვენი ძვირფასი გია ბაღაშვილი (ერთ-ერთი მოწაფე კუკური ჭოხონელიძისა) იწვევდა მათ სასაუბროდ. ჰოდა, კუკური ჭოხონელიძის ღვაწლს კიდევ ერთხელ აცნობდნენ საზოგადოებას გომარ სიხარულიძე, ნანა და მარინე ქავთარაძეები, გულბათ ტორაძე, თამარ მესხი, რეზო ტაკიძე, რეზო ჭანიშვილი, ზარამ ზარამიძე, მუზეუმის დირექტორი მარინე ჩიხლაძე (ამ საღამოს ორგანიზატორი)... რაღა თქმა უნდა, დარბაზში მსხდომნი გულმხურვალედ შეხვდნენ ჯერ თამრიკო ჭოხონელიძის სიმღერას, მერე „სამაიას" – თამრიკო, თინიკო, სოფო ჭოხონელიძეების შეხმატკბილებას, უნიჭიერესი შვილიშვილის მარიამ როინიშვილის უზადო ამღერებას და მისი ციცქნა ელენეს შედგომას როიალზე, ანუ კუკურის შვილთაშვილის ხვალინდელი დღის დალოცვას...

დარბაზს კი ეფინებოდა უბადლო საგალობლები სამების საკათედრო ტაძრის გუნდისა, ანსამბლ „ბასიანისა", ანსამბლ „ჯვარულისა", „ნანინასი" და „სახიობისა"...

**...კარგი საღამო იყო, თითქოს კუკური ჭოხონელიძე ჩვენს შორის იდგა და ქართულ ფოლკლორს ეფერებოდა.**

**ვილენ მარდალეიშვილი**

# „უჟამო მარადისობის სიმყუდროვეში“



ქეთევან მაყაშვილი, ქალიშვილთან ნინო მაყაშვილთან ერთად.

**„ძველი ოჯახები, მიუხედავად თავ-თავიანთი გამორჩეული ინდივიდუალობისა, რაღაცით თითქოს მაინც ჰგვანან ერთმანეთს: ტრადიციისადმი ერთგულებით? რელიკვიებისადმი განსაკუთრებულად სათუთი დამოკიდებულებით? ან იქნებ ნოსტალგიით იმ სულიერი**



მიხეილ დადიანი (პირველი იუნკერი, ბოლშევიკებთან ბრძოლაში დაღუპული)

**ფასეულობების მიმართ, რომლებიც უკვე ყავლგასულად და არამოდურად არიან ქცეულნი ახალი დროების ორომტრიალში...**

**ძველ ოჯახებში საპატიო ადგილას ასვენია ხავერდისყდიანი ალბომები, სადაც დროის დაღდასმული, ოდნავ გაცრეცილი, გამოხუნებული ფოტოებიდან საოცრად მშვიდი თვალებით იმზირებიან ისეთი ადამიანები, რომელთაც დღეს ქალაქის ქუჩებში ვეღარ შეხვდებით“...** (ვახუშტი კოტეტიშვილი).

„კვირაძალს საკითხავის“ „საოჯახო ალბომის“ რუბრიკას ვახუშტი კოტეტიშვილის ბიძის, ვახტანგ კოტეტიშვილის ძმის ლადო კოტეტიშვილის შვილიშვილები სტუმრობენ: მკითხველს შევახსენებთ, რომ ექიმი-ნევროპათოლოგი ლადო კოტეტიშვილი გახლდათ ქართული მედიცინის ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი, მხატვარი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე... მათი განსაკუთრებული, სანიმუშო დამოკიდებულება რელიკვიებისადმი არა მარტო გრძნობადის სფეროა, არამედ საოჯახო ფოტოარქივის ფონზე აანალიზებენ საქართველოს ისტორიის ყველაზე რთულ თარიღებს. ისინი თითქოს ორ დროში ცხოვრობენ: აბსოლუტურად თანამედროვენი, ბოლომდე ჩართული თანამედროვე რეალობაში და ამავე დროს, იგივე, ვახუშტი კოტეტიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, შემობრუნებულნი „თავის უჟამო მარადისობის სიმყუდროვეში“...

ნინო და გიორგი ნათია ხორნაულის (ასევე ლადო კოტეტიშვილის შვილიშვილის) საბერძნეთში შედგენილ წიგნსაც გვაცნობენ, სათაურით „ქროლვანი უნაპირონი“, რომელშიც აღწერილია მათი დიდი წინაპრების ცხოვრება და ბედი... მათ საოჯახო ინტერიერში არიან: ცნობილი დეკანოზი, მამა ილია (კოტეტიშვილი), გენერალ-ლეიტენანტი სოლომონ მაყაშვილი, სერგო მაკალათია, ვახტანგ კოტეტიშვილი, კოტე მაყაშვილი, ლეგენდარული მოწყალების და მარო მაყაშვილი, პირველი ქართველი იუნკერი, რომელიც ბოლშევიკებთან ბრძოლაში დაიღუპა – მიხეილ მაყაშვილი, ჩვენი თანამედროვეობის ესოდენ გამორჩეული პოეტი და პიროვნება თამარ ერისთავი და სხვ...

ქალბატონ თამარ ერისთავის განმარტებით: **„არათუ ეპოქის, დროის ცალკეულ მონაკვეთსაც თავისი მახასიათებელი აქვს – ადამიანის ქცევის და ზნეობის თავისებური მოდელი – გარკვეული ინტერესების, მისწრაფებების, რწმენის თუ ურწმუნობის დამღით რომაა აღბეჭდილი. ამავე დროს, საზოგადოების ამა თუ იმ ფენისთვის ნიშანდობლივია გარეგნობის გამომეტყველების, მიხვრა-მოხვრის თუ ჩაცმულობის შერწყმით გამოკვეთილი სილუეტი, რომელიც ცხოვრების წესს წარმოაჩენს“.**



მამა ილია (კოტეტიშვილი) და ფოფოდია ეკატერინე ბიძინაშვილი შვილებთან (მარჯვნიდან) ივლიტა, ვახტანგ, გიგო და ლადო კოტეტიშვილებთან

ნინო და გიორგი შალუტაშვილებმა სამახსოვროდ დაგვიტოვეს თავიანთი წიგნების რამდენიმე ფოტო და წლების მანძილზე გაუხორციელებელი ოცნება: იყალთოს მონასტრის ეზოში, საგვარეულო სასაფლაოს დაუბრუნდეს მიხეილ და სოლომონ მაყაშვილების ცხედრები და რუსთაველზე, მთავრობის სასახლის წინ, გაკეთდეს კოჯრის და ტაბახმელის ფრონტებზე 1921 წელს დაღუპულ ქართველ იუნკერთა, მათ შორის, მარო მაყაშვილის ხსოვნის მემორიალი... იქ, სადაც მათი ყოფილი და ამჟამად დაკარგული საფლავებია... ჩვენ კი გაოცებას გამოვხატავთ, რატომ აქამდე არ მოგვარდა ეს არა ოდენ საოჯახო, არამედ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე... როცა უკვე რამდენი წელია ამაზე ვსაუბრობთ...

„ერთ მთლიანობაში აღქმული წარსულის, აწმყოს და მომავლის ილუსტრაციებია ეს მტკივნეული თარიღებიც, ფოტოებიც, დაკარგული საფლავებიც...“ რადგან „არიან პიროვნებანი, რომელთა სახელის გახსენებაზე გულზე როგორღაც მოგეშვება ხოლმე, გიქარწყლდება უსასოობა და უიმედობა, დარდისგან მრავალი ნაოჭებით დასერილი შუბლი გეხსნება... ამ სახელებზე მაშვრალ მგზავრივით ისვენებს სული“... (კოტე მაყაშვილი).



დები: ნინო, ბარბარე, თამარ, ანა მაყაშვილები

# ძეგლების ნგრევის ეპოქა

**ესპანეთის სახელმწიფოს ყოფილი მეთაურის ფრანკოს ძეგლი, რომელიც 35 წლის წინათ მისივე სიცოცხლეში აღმართეს, ცოტა ხნის წინათ აიღეს ბარსელონას მთავარი მოედნიდან.**

ძეგლის დემონტაჟს ორასი ეგზალტირებული მაყურებელი უკრავდა ტაშს და ისმოდა ტიპური, სამხრეთული ოვაციები.

მნიშვნელოვანი ალბათ ისიც გახლავთ, რომ თავისთავად ძეგლი, რომელსაც, ჩვენი აზრით, გარეგნულად არაფერი აქვს საერთო ესპანეთის დიქტატორთან, ხელოვნების საინტერესო ნიმუშია. იგი 1940 წელს აღმართეს და მისი დანიშნულება იყო ხალხისთვის შეეხსენებინათ ფრანკოს ჯარების გამარჯვების წლისთავი სამოქალაქო ომში.

ძეგლის გახსნა, მიუხედავად მისი მხატვრული ღირებულებისა, ბარსელონას მერმა შეაფასა, როგორც დემოკრატიული ნორმალიზაციის პროცესი.

ფრანკოს, იგივე ფრანსისკო ფრანკო ბაამოდეს სამხედრო კარიერა მაროკოში დაიწყო. 1934 წელს მან სისხლში ჩაახშო გამოსვლები რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ. 1936 წელს მემარცხენე ადგილობრივმა ფრონტმა გაიმარჯვა ძირითად არჩევნებში და სხვა მთავრობა ჩამოყალიბდა... ამ ახალი ხელისუფლების თანამდევი გახდა არასტაბილურობა და ძალადობა.

1936 წლის ივლისში ოპოზიციის ლიდერის ხოსე კალვო ქოტელოს კლავენ და მოიერიშე გვარდიის კომანდოს ქვედანაყოფი სამხედრო გადატრიალებას იწყებს. აქ ხელმძღვანელის როლს ასრულებს ფრანსისკო ფრანკო ბაამოდე.

სამხედრო გადატრიალება სამოქალაქო ომში გადადის და ფრანკო, უკვე როგორც გენერალი, ნაციონალურ ლიდერად იქცევა. სახალხო ფრონტი საბოლოოდ მარცხდება.

ფრანკო გამარჯვების შემდეგ ავტორიტარულ რეჟიმს აყალიბებს, რომელიც 1978 წლამდე გასტანს.

ფრანკოს რეჟიმს უკავშირდება: „ცისფერი დივიზია“, რომელიც II მსოფლიო ომში ადოლფ ჰიტლერის თანამებრძოლია რუსული კომუნიზმის წინააღმდეგ, დისიდენტური ხედვების ჩახშობა ძალადობით და მკაცრი ცენზურით. იდეოლოგიური მტრების დაპატიმრება და წამება, საკონცენტრაციო ბანაკები...

და მაინც, მსოფლიოს დემოკრატიის ე. წ. ბურჯის და მქადაგებელი სახელმწიფოს – ამერიკის პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის სიტყვები დარჩა ისტორიას: **„გენერალი ფრანკო იყო ამერიკის ერთგული მეგობარი და მეკავშირე“...**

არ ვიცი, რა სტანდარტებით აფასებდა ესპანეთის სახელმწიფოს მეთაურს ამერიკის პრეზიდენტი, მაგრამ ათეული წლების მანძილზე საკუთარი ხალხის მიერ გაფეტიშებულ გენერალს იგივე



ხალხი იგივე ქარიზმატული შეძახილებით დაუნგრევს ძეგლს. თუმცა, როგორც ჩანს, დიდხანს ვერ დაივიწყებს!

ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

ეს საგულისხმოა

# თუ მეზობლობაა, მეზობლობა იყოს...

**გარკვეულ წრეებში (მადლობა ღმერთს სუსტსა და მცირერიცხოვანში) ჩვენი მეზობელი სომხეთის მხრიდან (ალბათ, საქართველოდანაც) რატომღაც ხელს აძლევთ უძველესი და უდიდესი ისტორიის მქონე ორი ერის კეთილმეზობლობასა და მეგობრობაში ბზარის შეტანა. ამას ადასტურებს ბოლო დროს ბეჭდვით მასმედიაში გახშირებული არასასიამოვნო პუბლიკაციები, რომლებიც, გარდა იმისა, რომ არასერიოზულ ხასიათს ატარებენ, სრულებითაც არ გამოხატავენ ოფიციოზის პოზიციებს.**

ასეთ „შემოცურებულ“ პასკვილთა შორის მთავარი, ჩემი აზრით, საქართველოს ძირძველი მიწის სამცხე-ჯავახეთის საკითხია, რომლის კუთვნილებაზე ჩვენს მეზობლებს თითქოსდა პრეტენზია გაუჩნდათ (გასაკვირი კი არის, საიდან, რის საფუძველზე?ძ.

სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიის საქართველოს კუთვნილებაზე რომ მტკიცება გვიხდება, ეს ფაქტი თავისთავად ლოგიკას მოკლებულია. ამ საკითხზე ლაპარაკი, მით უმეტეს წერა, ხომ ზედმეტია. მაგრამ ზრდილობიანი პასუხის გაცემა, ვფიქრობ, ზედმეტი მაინც არ იქნება.

საკითხის გარჩევისთვის მივმართავ დიდ ავტორიტეტს, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს, ბატონი ივანე რომ სომეხი ხალხის, სომხეთის ისტორიისა და კულტურის თავგამოდებული პატივისმცემელი იყო, ეს ცნობილი ფაქტია. ამ ერთ-ერთი უძველესი და ნიჭიერი ხალხის მიმართ სიმპათიები მას პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდიდან ჩაესახა. ამ პერიოდს მიეკუთვნება მისი შემდეგი სიტყვები: **„ყოველ განათლებულ ქართველს ჰმართებს, თავისი მეზობელი მოძმე ერის, სომეხთა მრავალტანჯული, მაგრამ მეტად საინტერესო თავგადასავალი იცოდეს“.**



ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ კვლევებს არმენისტიკაში თავის დროზე დიდი შეფასება მისცეს აკადემიკოსებმა ნ.მარმა და ი.ორბელმა. სასიამოვნო მოსასმენი ყოფილა ბატონ ივანეს საუბარი სომხურ ენაზე.

**„... პეტერბურგელ სომეხ სტუდენტებს ნ.ადონცსა და ს.ავეტისიანს ძალიან მოსწონდათ ჯავახიშვილის სომხური საუბარი ეს, როგორც ჩანს, თვით ივანე ჯავახიშვილის შემხვედრი ინტერესი იყო, ვინაიდან იგი ამ ენის სწავლების პრაქტიკას აძლიერებდა“,** წერს ს.ჯორბენაძე თავის წიგნში **„ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“** (უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1984 წ.ძ.

პროფესორ ს.ჯორბენაძეს ამავე წიგნში მოჰყავს აკადემიკოს ი.ორბელის სიტყვები ივანე ჯავახიშვილის მიმართ თქმული: **„ეს იყო ფრიად გამჭრიახი, ძალზე ფრთხილი თავის დასკვნებში, ძალზე დაკვირვებული, ძველი ქართულისა და ძველი სომხურის ბრწყინვალედ მფლობელი“. თვით ბატონი სერგო ჯორბენაძე კი ამბობს: „რასაკვირველია, ფეოდალური და ბურჟუაზიული ზედაფენა კონფლიქტებსა და წინააღმდეგობებს ქმნიდა ამ ორ ხალხს შორის, მაგრამ მათ შორის საერთო ყოველთვის სჭარბობდა იმას, რაც მათ აშორებდა. ივანე ჯავახიშვილი არადროს არ ცდილა ამ წარსულის შელამაზება-შესწორებას, იგი ამ ორი ერის ურთიერთობის ისეთ პირუთვნელ სურათს გვიხატავს, რომელიც საერთო ანგარიშით სწორედ მათი ისტორიული და თანამედროვე ძმობით მტკიცდება“.**

ჰოდა, ბატონ ივანეს სწორედ ამ პრინციპით, ჩვეული ობიექტურობით აქვს გაშუქებული სამცხე-ჯავახეთის ისტორია, რომლის აქ შემოთავაზებული მოკლე შინაარსი, იმედია, გაგაცნობთ ამ პრინციპებს.

რუსეთის მიერ საქართველოს მიერთებისას ოსმალეთის შემადგენლობაში შერჩენილი ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული ახალციხის საფაშოდან 1828 წელს მხოლოდ მცირე ნაწილის დაბრუნება გახდა შესაძლებელი. ეს შემდეგში ახალციხისა და ახალქალაქის მაზრად იქნა წოდებული. ამ წლიდან მოყოლებული განხორციელება ჰპოვა პასკევიჩის გადაწყვეტილებამ – ჯავახეთიდან აყრილი და განდევნილი ქართველების სოფლებში ოსმალეთიდან გამოდევნილი სომხების ჩასახლების შესახებ. 90 ათასი სომეხი ლტოლვილიდან 30 ათასი ჯავახეთში ჩასახლდა.

**„... ეროვნული თანაფარდობის მხრივ მდგომარეობა ჯავახეთში, ანუ ახალქალაქის მაზრაში, ძირფესვიანად შეიცვალა: თუ წინათ აქ მხოლოდ ქართველობა ცხოვრობდა, 1832 წელს ქართველთა მაგიერ უმრავლესობას უკვე სომხები შეადგენდნენ და ქართველ მაჰმადიანებს მხოლოდ მეორე ადგილი ეჭირათ“** (ეს სიტყვები იმდროინდელი რუს მკვლევარს ივანენკოს ეკუთვნის და მოყვანილი აქვს ივანე ჯავახიშვილს თავის ნაშრომში „საქართველოს საზღვრები“ძ. ამავე ნაშრომში ბატონი ივანე ამბობს: **„... სომხეთა ამ კუთხეში დასახლებისათვის ქართველობას შეეძლო შეეხედნა მხოლოდ ვითარცა დროებითი მოვლენისათვის: ვითარცა ოსმალთა მიერ დევნილი ხალხის დროებითი შემოხიზნისა და თავშეფარებისათვის. რა წამს სომეხთათვის პოლიტიკურად ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა, ეს ოსმალეთიდან შემოხიზნული სომხობა კვლავ თავის სამშობლოს, მამა-პაპათა კერას უნდა დაუბრუნდეს“.**

ბატონი ივანე აქვე დასძენს: **„... ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა თავისი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი საზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგას. ეს არც ძმობა-ერთობას და არც კეთილ მეზობლობას დაუშლის იმათთან, ვინც მართლაც ძმობაზე და მეზობლობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც ყოველგვარი მოსალოდნელი ხიფათისაგან გადაარჩენს“.**

ეს სიტყვები, პატივცემულო მკითხველო, ივანე ჯავახიშვილმა 1919 წელს დაწერა და ალბათ დამეთანხმებით, რომ დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას. სიტუაცია დროთა განმავლობაში შეიცვალა. სომეხი მოსახლეობა ჯავახეთის რეგიონში დაფუძნდა. ურთიერთობაც ქართველობასთან დარეგულირებულია. დღეს თუ ჯავახეთის რეგიონის სომხეთით დასახლებულ სოფლებს რაიმე უჭირთ, ობიექტურობა მოითხოვს გაითვალისწინონ, რომ ეს საერთო სურათია მთელი საქართველოს სოფლებისთვის, რაც, იმედია დროებით ხასიათს ატარებს. ანალოგიური, თუ უფრო მძიმე არა, მდგომარეობაა სომხეთის მეზობელ სოფლებში (ღმერთმა ქნას, აქაც ეს დროებითი იყოსძ.

კაცმა რომ თქვას, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის, დღევანდელ საერთო პოლიტიკურ ვითარებაში, არ შეიძლება იმაზე ძვირფასი და სასარგებლო იყოს, ვიდრე კეთილმეზობლობა და ურთიერთპატივისცემაა.

ქართველი ხალხისთვის უცხოა ეთნიკური ხასიათის კაპრიზები. საქართველოში ქართველებთან ერთად თანასწორუფლებიანად ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები.

რაც შეეხება ურთიერთთანაგრძნობას, პირადად მე მოწმე ვარ იმისა, თუ აჭარისა და სვანეთის რაიონებიდან გადმოსახლებულ ეკოლოგიურ მიგრანტთა ოჯახებისთვის, ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის მხარდაჭერითა და დახმარებით, რა მოკლე დროში განხორციელდა ჯავახეთის რეგიონში შვიდი ახალი კეთილმოწყობილი სოფლის მშენებლობა.

ჩვენი მეზობელი ერისადმი ერთგულების ნათელ მაგალითად შეიძლება გავიხსენოთ ის გულწრფელი დახმარება, რომელიც ქართველმა ხალხმა აღმოუჩინა სომხეთს სტიქიური უბედურების პერიოდში. ამ გახსენებებში გადაჭარბებული არაფერია, დეტალურად ვარ მოვლენათა საქმის კურსში და, შემიძლია განვაცხადო, ნდობასაც ვიმსახურებ, რადგან ორივე ხსენებული საკითხის კურატორი გახლდით საქართველოს მთავრობიდან.

ჩვენ ორ ერს შორის კეთილ ურთიერთდამოკიდებულებას ვერავითარი ბოროტი ძალა ვერ მიაყენებს ზიანს, თუ ასეთი ძალის გამოვლინების სულ მცირე მცდელობასაც კი საფუძველშივე ჩავახშობთ საერთო ძალით.

მწამს, რომ ეს ასეც იქნება.

**რევაზ ტყემალაძე,**
ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო რუსეთს ტერორისტული აქტების მომზადებაში სდებს ბრალს

**ხუთშაბათს საქართველოს პოლიციამ გამოაცხადა, რომ გააუვნებლა სამი ასაფეთქებელი მოწყობილობა ქუთაისში სამთავრობო შენობების წინ და მათ დაყენებაში ბრალი რუსეთს დასდო. პროდასავლური საქართველო ხშირად სდებს ბრალს რუსეთს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევაში 2008 წლის ხუთდღიანი ომის შემდეგ, როდესაც მოსკოვმა სამხრეთი ოსეთის გამოყოფას დაუჭირა მხარი.**



საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ დააკავეს სამი კაცი, რომლებიც ქუთაისში მერიასთან და იუსტიციის სახლთან აფეთქებების მოწყობაში არიან ეჭვმიტანილნი. „დაკავებულები ამტკიცებენ, რომ მათ უბრძანეს დააყენონ ასაფეთქებელი მოწყობილობები ქუთაისში სამთავრობო შენობების მახლობლად“, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა. „დაკავებულებმა განაცხადეს, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობანი მათ რუსმა ოფიცერმა მისცა“.

რუსეთის თავდაცვის მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი მიუწვდომელები აღმოჩნდნენ ოფიციალური კომენტარებისთვის ხუთშაბათს. რუსეთი გადაჭრით უარყოფდა საქართველოს მხარის ბრალდებას შარშან ტერორისტული აქტების მომზადებაში.

უშიშროების საკითხებში მრჩეველთან შეხვედრის დროს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ სპეცსამსახურები უნდა მუშაობდნენ იმაზე, რომ „აღკვეთონ ყველა მცდელობა გარედან ვითარების დესტაბილიზაციისთვის“.

დაძაბულობა საქართველოსა და რუსეთს შორის არ ცხრება, ომის შემდეგ რუსეთის გავლენა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში გაძლიერდა.

თებერვალში რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა თავის მრჩეველს უშიშროების საკითხებში განუცხადა, რომ საქართველო შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს 2012 წელს ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის. ოლიმპიური თამაშები გაიმართება შავი ზღვის სანაპიროზე, ქალაქ სოჭში, საქართველოსთან უშუალო სიახლოვეს.

საქართველოს ხელისუფლებამ ბრალი დასდო მეორე რუს ოფიცერს შარშან აფეთქებების სერიის მომზადებაში და განაცხადა, რომ აფხაზეთში ქირაობენ და წვრთნიან დამნაშავეებს ტერორისტული აქტების განხორციელებისთვის რესპუბლიკაში.

აფეთქებების შედეგად დაიღუპა ორი კაცი, ერთი ბათუმში, რომელიც შავი ზღვის პირასაა, მეორე – თბილისში, ოპოზიციური პარტიის შტაბბინის მახლობლად.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხუთშაბათს განაცხადა, რომ ოფიცერი მსახურობდა აფხაზეთში, მაგრამ დატოვა მისი ტერიტორია აგვისტოში და მას არანაირი დამოკიდებულება არ აქვს აფეთქებებთან.

REUTERS

ვაჟუსტებთ

**რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელთაგან საქართველოს ხელისუფალთა მიმართ გამოგზავნილ წერილში, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკის“ პირველ გვერდზე, მეოთხე აბზაცის დასაწყისში უნდა იკითხებოდეს ასე:**

„მზე, რასაკვირველია, ჩრდილოეთიდან არ ამოდის და არც საქართველოსთვის ამოსულა ჩრდილოეთიდან, მაგრამ ჩვენზე არანაკლებ მოგეხსენებათ, რომ **ის მზე,** რომელზედაც ამჟამად ვლაპარაკობთ, არც დასავლეთიდან და, კერძოდ, არც ამერიკის შეერთებული შტატებიდან ამოდის...“ **შემდეგ როგორც ტექსტშია...**

პარტიებსა და მოძრაობებში

# კობა სუბელიანს ბრალს უყენებენ

**„ახალი მემარჯვენეების“ ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ საპროტესტო აქცია გამართა. ისევ და ისევ ფოცხოში ჩასახლებულთა მძიმე მდგომარეობის გამო.**

ისინი შიმშილის ზღვარზე იმყოფებიან. არ აქვთ არც წყალი, არც შუქი, არანაირი საცხოვრებელი პირობები. კობა სუბელიანს ვაძლევთ შანსს და, თუ რამდენიმე დღეში არ მოაგვარებს დევნილებთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას, მაშინ ჩვენ გავზრდით საპროტესტო აქციების რიცხვს, თუ აქამდე აქ შვიდი კარავი იდგა, დაიდგმება 25 კარავი. გამოცხადდება შიმშილობა დევნილების მხარში დასადგომად, ამ ყველაფერს ჩვენ გავუწევთ ორგანიზაციას. ეს არის უსისხლო გენოციდი, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება უწყობს დევნილებს.



ამ აქციას სოლიდარობას უცხადებს დევნილთა სამოქალაქო ორგანიზაციაც. მოითხოვენ კობა სუბელიანის დაუყოვნებლივ გადადგომას, მის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში გადაცემას. ითხოვენ, ხელისუფლებამ დააკონკრეტოს, თუ რაში დაიხარჯა დევნილებისთვის გამოყოფილი თანხები და რეალურად რამდენი მოხმარდა დევნილებს. ითხოვენ აგრეთვე, პროკურატურამ რეაგირება მოახდინოს მათ განცხადებაზე, კონტროლის პალატამ დადოს შესაბამისი დასკვნა იმ დანაშაულობებზე, რაც კობა სუბელიანმა ჩაიდინა დევნილთა მიმართ.

**ნათია კახიძე**

## განცხადება

**შპს „ბიზნეს ცენტრი სასტუმრო რუსთავის“ დირექტორი მალხაზ ალბორაშვილი იწვევს საზოგადოების პარტნიორთა კრებას შემდეგი დღის წესრიგით: 1. წლიური ანგარიშის განხილვა; 2. დამქირავებლებთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების საკითხი; 3. საორგანიზაციო საკითხები.**

**კრება ჩატარდება 2011 წლის 12 აპრილს, 12 საათზე საზოგადოების იურიდიულ მისამართზე, ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირი №32.**

პოეზია



დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ პოეტსა და მეცნიერს ომარ შამათავას. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ომარ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში.

ქართველი მკითხველი მოწონებით შეხვდა თქვენს ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორიცაა: „სულის სიმები“, „ოცნების ფრთები“, „გვიხმობს დიოსკურია“, „გულო, გაუძელ“, „75 რჩეული“... ამ კრებულებში შესული ლექსებით ჩვენ მეოცნებე რომანტიკოსიც გვესაუბრება და ფხიზელი, პრაგმატულად მოაზროვნე რეალისტიც, მებრძოლი ტრიბუნიც და სქელ ფოლიანტებში თავჩარგული ფილოსოფოსიც, რომელიც ცდილობს ცხოვრების არსში ჩაწვდომას. იგი მშობლიური კოლხეთის სანახებიდან მოდის, ბავშვური ოცნებებითა და ზმანებებით დახუნძლული, უტყუარი პოეტური ალღოთი ახერხებს გვაზიაროს სიკეთეს, სილამაზეს, სათნოებას...

ფართო საზოგადოება თქვენ გიცნობთ, როგორც ცნობილ ფილოსოფოსსა და სოციოლოგს, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ეწევა ნაყოფიერ მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი მრავალწლიანი საქმიანობა საქართველოს მთავლიტში, სადაც თქვენ რაფიელ ერისთავის მიერ გაკვალულ გზას მიჰყვებოდით და იმ ურთულეს თანამდებობაზეც კი საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდით.

ღვაწლი დაგიფასდათ. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით, მონიჭებული გაქვთ გიორგი შარვაშიძის პრემია, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

ახლახან პოეტმა ახალი კრებული გამოსცა — „სიყვარული გადაგვარჩენს“, საიდანაც შევარჩიეთ ქვემოთ გამოქვეყნებული ლექსები.




## ომარ შამათავა

# სიყვარული გადაგვარჩენს

## ლექსები ახალი კრებულიდან

### პანთეისტური ნატვრა

მთების სილაღე რა არი,
თუ არა ნისლი მანდილად!
მზის სილამაზე რა არი,
თუ არ მოხატა მან დილა?!

ვაჰმე, მომკვდარა მდინარე,
თუ ვერ მოიქნევს კალმახებს,
თუ დროშად ვერ აშრიალებს
მწვანე ფშანების სანახებს.
რა ცოდვა არის ის წყარო,
წელი რომ წყდება ქვიშაში!
მოსვლა თუ დაგიგვიანოს,
რა ოხრად გინდა ის შაში.

ნეტავ, მთა ვიყო მანდილით, –
ნისლის და არა სმოგისა.
წაბლის ტყე ვიყო ნამდვილი,–
მწვანე ზღარბუნებს მოვისხამ.

მდინარე ვიყო ანკარა, –
ფსკერზე თეთრ კენჭებს განახებ,
ცისფერ მორევში დავმალავ
ვერცხლით დაფერილ კალმახებს.

წყაროც რომ ვიყო ყისმათი,
ჩასმული ბროლში, შუშაში,
მე ვიქნებოდი ძმისათვის
დროზე მოსული დუშაში.

### „აშრიალი“ – ქორსაჭერი ბადე

შეღამების გრძელ ლანდებთან
შარიშურობს წნორი
და ნისლივით ებლანდება
ბადე ტოტებს შორის,
ბადეს შიგან ჟღურტულია, –
ქორთა მოსაწონი...
ბადეს ჰქვია „აშრიალი“
არის ყაჭის წონის,
ქორს არ ესმის ამ შრიალით
რა შარში ხვევს წნორი, –
თავისუფალ სუნთქვას კარგავს
ლუკმისათვის ქორი...

### მუზას

წახვალ და ლექსის დავკარგავ ენას,
მუნჯი სტრიქონი ვის რაღად უნდა?!
მჭირდება რწმენა, იმისი რწმენა,
რომ დღეში ერთხელ მეწვევი თუნდაც.

წახვალ, გაწყდება ჩონგურის ლარი,
ვერ ვიგრძნობ რაზე ჩურჩულებს ქარი,
რაზე ბუტბუტებს თბილისთან მტკვარი,
რაზე ლოცულობს მცხეთაში ჯვარი.

გაუძნელდება აფრენა არწივს,
უმანკო მტრედებს დაკორტნის ქორი,
ხსნა არ მომივა არც მიწით, არც ცით,
მომენატრება წვიმა და თქორი.

გაჩნდება გულში ისეთი ბზარი,
დარეკავს სულში ისეთი ზარი, –
გზას ვერ გავიგნებ,
მეცვლება მხარი,
დავიკარგები ეული მგზავრი.

მაგრამ თუ, მუზავ,
მომიხვალ რწმენად,
არწივს მოხიბლავ სილურჯით ცათა,
ლექსს აამღერებს ბულბულის ენა,
მიჯნურთა ენა, წრფელი და სადა.

* * *

როცა აპრილის სიმღერას ვწერდი,
მხარზე დამაჯდა ღუღუნა მტრედი.
ის მკარნახობდა სიმღერას თითქოს
მარცვალ და მარცვალ, სტრიქონ და სტრიქონ.
ირგვლივ ყინულის ლოდები გალღვა
და მივყვებოდი მთაწმინდას მაღლა.
გრძნობებს ვანდობდი სტროფებს უნაზესს,
სიტყვებს ვაწრთობდი გულის ქურაზე.
„როგორ მიყვარხარ“, – იებს ვუმხელდი, –
ჩუმი ალერსით, მოყრილ მუხლებით.
თვალებში მენთო ყვავილი ნუშის,
ვით ათინათი შირაზის შუშის...
გულს ვერ იტევდა გაშლილი მკერდი, –
გამოღვიძების სიმღერას ვწერდი...

### კოლხური სატრფიალო სიმღერა

რაც ცირა ჩამიცისკარდა
გულში ცისფერი თვალებით,
ვერავის ვხედავ მის გარდა,
ამ ციურს ვენაცვალები...

მასთან ავაწყვე „აგუნა“
და „ოდოია“ ყანების,
ღმერთმა სიმღერად მარგუნა,
მეც გულით ვეთაყვანები.

რაზომც მზედ ამონათდება
ნაზი სხივების თავაზით,
ზამთრის ზუზუნში დათბება, –
მზეს მზე დახვდება ლამაზი.

* * *

ყორანი დარჩა ყორნადა,
სულიც ცივი აქვს, ფრთაც – ცივი,
სამგლეთის გასაგონადა
მეცხვარის ნაგაზს დასცინის:
ბედნიერების იგავით
კაცმა დარაჯად მოგნახა...
მშიერი მეფე იყავი,
ახლა მაძღარი მონა ხარ!..

### ძმები იტყვიან პოეტზე

ლექსის ბადაგით დამთვრალა,
ათბობდა ტრფობის ხანძარი,
გული დაჰქონდა ფართქალა,
ცად ჰქონდა სულის ტაძარი.
უკვალოდ რომ არ გამქრალა, –
ტრფობის წიგნია, რაც არი.
ასეა,
ხე დაიწვება, –
ნერგებს უშველის ნაცარი.

* * *

„სადაც ვშობილვარ“,
მერცხლის ფრთები მიმაფრენს იქით,
იქით მეძახის წალიკონიც, სადაც დავობლდი,
სადაც ვგალობდი სიყვარულზე
პირველი ფიქრით,
სადაც ტეხურის ჩქერალებში
ქართან ვდაობდი.

პირველი კოცნის მოგონებას
ჩავაქსოვ ფიქრებს...
 thორთოლვით და ეჭვით ქანაობენ
მაყვლის ფარდები.

გულო, გამაგრდი,
ბრძოლის ჟინი ტალღებმა მიქეს, –
ნეპტუნის ბადეს
ლაჩარივით არ ჩავბარდები.

### მთაში იციან გლოვა ვეფხვისა...

1. სვანეთში

ვაჰმე, კოშკების ქვითკირნო,
გულს ხომ არ გიპობთ მეხი?!
რამდენჯერ უნდა ვიტიროთ
სვანის მოკლული ვეფხვი?!
– სანამდის ცრემლის ნაკადით
არ აგტკივდებათ თვალი,
სანამ გადმოვა ცა მადლით,
შეგირიგდებათ დალი.

– გავუძლებთ, კოშკთა ქვითკირნო,
არ აგვარდებათ ბოლი, –
ვეფხვი იმდენჯერ ვიტიროთ,
რამდენიც ჰქონდეს ზოლი!

2. ხევსურეთში

ხევსურნი ვეფხვსა საღვთოსა
ვაჟის ტალავრით სტირიან, –
ვეფხვს მონადირე ახსოვს და
შეურცხვენელი პირი აქვს...

ჩოხას აცმევენ ახალსა,
დაამშვენებენ ნაბდითა,
შემოუწყობენ ფარ-ხმალსა,
მშვენიერთ ცოდვა-მადლითა.

უსამძიმრებენ დედები
ვეფხვის დედასაც, დალისაც...
ასეთ ცას მზით და მტრედებით,
აბა, რა მტერი დანისლავს?!

### „ბალობანი სინანულისანი“

ანუ რა ჩაუთქვა
დავით აღმაშენებელმა
„ფაიქთა სამსახურს“,
როცა მას აარსებდა.

ნიკოფსიიდან – დარუბანდამდე,
ანაყოფიით – ტრაპიზუნამდე
ჭკვიანთ ავხსნიდეთ, გიჟებს ვაბამდეთ...
ერზე ვზრუნავდეთ, ბერზე ვზრუნავდეთ;
ლელო გაგვქონდეს და გამოგვქონდეს;
ომებს ვიგებდეთ ფიცხელ ომამდე;
არწივთ ვითვლიდეთ შემოდგომამდე –
ალაგმვით ქვეყნის მოღალატეთა, –
შურის დამტევთა, ღვარძლის დამტევთა...
დე, ვიყოთ ტახტის ყური და თვალი:
ჩვენს სამტროდ ვინ, სად ალესა ხმალი?!
ქიშმირის ძვირფას შალში რომც მალოს,
რომც მოგვევლინოს ვაჭრად, ბაზაზად,
შუბს ვერ დამალავს სპარსიც, ოსმალოც,
თვალები გასცემთ კაენს, ავაზაკს.
„ფაიქთა ლახტი“ სჯობს „ნაზუქს ქებულს“...
იგრძნეს მოყვრებმა: განმტკიცდა ტახტი, –
ძალა მიეცა ბრძენკაცთა კრებულს,
შუბს ვერ გაგვიყრის ზურგში ვერაგი.
სასჯელი – ორგულთ!... პატივი – ერთგულთ!...
ბაღვაშთა გვარიც განზე ვერა ხტის...
სული მოითქვა ერმა და ბერმა,–
გადასამნება არჩია მტერმაც.
მაინც წერს დავით, – ოქროგულისა –
საქმის კარნახით, ნამუსთან დავით
ლექსს – „ბალობანი სინანულისა“.

### ღარიბი კაცის ანდერძი

– იები საფლავზე?!
– ცხონებად სულ კმარა!..
რა მიჭირს,
სტუმარი თუ ფურისულაა!
ის ცაში აიტანს
ჩემს კვნესა-მუდარას...
და მარმარილოთა
არ ვითხოვ სუდარას.

თუ გინდათ –
მეოხოს
სულს სანუგეშოთი, –
გამვლელნო, საფლავი
მონიშნეთ ნეშოთი!

### ხარი წიქარა

ლურჯი ტალღების აშრიალებით
ზღვაური ტოვებს მთვარის სარეცელს...
ჩამოურიგეთ ჭიშკრებს ნალები, –
ქართულ ეზოებს თვალი არ ეცეს.
არ ეცეს თვალი ავის, მჩხიბავის
და არ მოაკლდეს სხივთა ჩქერილი,
რადგან წიქარა
– გზებს რომ მიბღავის,
საქართველოა გადარჩენილი, –
გადარჩენილი ყელის გამოჭრას,
მიდის,
მიზნისკენ მანძილს ამოკლებს...
თავისუფლების ველიც გამოჩნდა,
მალე ჩამოხსნის მახვილს დამოკლე.
სეტყვამ ვენახი რომ არ წალეკოს,
შავი მერცხლები ზეცას კოცნიან,
მესალამურევ,
ბიჭო შავლეგო,
ხარი წიქარა დამილოცნია.
კავკასიონის ამორძალები
ჩაუყვებიან ხევებს დამრეცებს...
უნდა გააკრან ჭიშკრებს ნალები, –
ქართულ ეზოებს თვალი არ ეცეს.

### ბოდიშს გიხდით, დედებო!

დავარისხოთ ზარები წყრომისა და განგაშის
იმათ თავზე, ვინც ერის სიწმინდეებს
გადაშლის...
წამოზრდილან ისეთნი, ვით დაცინვა
ბედისა, –
ენას რომ გვიბილწავენ შეგინებით დედისა.
დედის კალთის სიწმინდე ღვთისმშობელმა ინება.
სულში ჩაფურთხებაა ჩვენთვის
დედის გინება.
დედის ავად ხსენებას
ჩრდილოეთის სუნი სდის...
ამას არ კადრულობენ შიიტიც და სუნიტიც.
ქართველებად დარჩენის უმთავრესი გარანტი
დედა იყო და რჩება, პატივსა ვსცემთ
სანამდის.
ბოდიშს გიხდით, დედებო, ნაცვლად
ენაბილწების. –
ენდეთ დედაშვილობას, რომ სირცხვილით
ვიწვებით.
ლექსით ვცდილობთ, დედებო, –
ჩვენო მოამაგენო,
მაგინებელთ დედების ალიყური ვაგემოთ!

ასე ვერ გავფრინდებით

# იყიდე, გაყიდე — ქარვასლაა?!

ისრაელის მიმართულებით მგზავრობის საფასური ბოლო დროს 300-დან 530 დოლარამდე გაიზარდა, თუმცა მომსახურების ხარისხი შესამჩნევად გაუარესდა, რასაც უკანასკნელი ფაქტიც ადასტურებს.



კერძოდ, კომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ ადმინისტრაციამ ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების სამშობლოში ტრანსპორტირებისთვის თელ-ავივში შეპირებული „ბოინგის“ ნაცვლად 50-ადგილიანი ლაინერი გააგზავნა, თანაც გადაწყვიტა, მისივე მოკრძალებული გაბარიტების გათვალისწინებით, „ჯვაროსანთა“ ბარგის უმეტესი ნაწილი აღქმულ მიწაზე დაეტოვებინა და თბილისისკენ მხოლოდ მეორე დღის ღამის რეისისთვის გამოეყოლებინა. ამით, უპირველესად, გუნდის ის წევრები დაზარალდნენ, რომლებიც აქაურ კლუბებში თამაშობენ და ჩანთებიდან სავარჯიშო ბუცების ამოღების საშუალებაც კი არ მიეცათ (ასეთი სულ 7 იყოძ, ხოლო ლეგიონერები პარტნიორებს ბენ-გურიონის აეროპორტშივე დაემშვიდობნენ და უპრობლემოდ მიაშურეს დროებით ნავთსაყუდელს.

იმის ნაცვლად, რომ თანამემამულეთათვის ნაწილობრივ მაინც გამოეკეთებინათ ხასიათი, ავიაკომპანიის მესვეურებმა მათ უტიფრად განუცხადეს, 24 საათის დაგვიანებით ჩამოსულ ბარგს თავად დაზარალებულებმა უნდა მიაკითხონო. აღარაფერს ვამბობთ ფრენისას დელეგაციისთვის შეთავაზებული სამარხვო სადილის დამამშვენებელ უხარისხო პურზე.

აი, ქართული სერვისი!

**გია პლატონიშვილი**

ტყვიის სროლა

# პირველი ლიცენზიატის საპატიო მისია



**2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების პირველი ლიცენზია, როგორც გაუწყეთ, უნიკალურმა ქართველმა სპორტსმენმა და პიროვნებამ — ნინო სალუქვაძემ მოიპოვა. სეულის ოლიმპიადის ოქრო-ვერცხლისა და პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლის მფლობელმა ქართველ ათლეტთაგან პირველმა ზედიზედ მერამდენედ გახსნა ლიცენზიების ანგარიში.** სიდნეიში მსოფლიოს თასის თამაშებზე მან პნევმატური პისტოლეტით ასპარეზობა მოიგო და თამაშების საგზურთან ერთად წლეულს სუპერთასის ფინალში გამოსვლის უფლებაც დაიმსახურა. საგულისხმოა, რომ ქართველმა მსროლელმა ეს საპატიო პრიზი აქამდე ცხრაჯერ დაისაკუთრა.

ავსტრალიიდან დაბრუნებულ ნინო სალუქვაძეს საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში შეხვედრა მოუწყვეს, სადაც ხაზგასმით აღინიშნა, რომ ნინოსთვის ეს მეშვიდე ოლიმპიადა იქნება. სეოკ-ის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა წარმატება მიულოცა ოლიმპიურ ჩემპიონს და დამსწრეთ აუწყა, რომ ლონდონის თამაშებზე ნინო სალუქვაძე საქართველოს დელეგაციის მედროშე იქნება.

„სიდნეიში გამარჯვების შემდეგ ავსტრალიის ტელევიზიამ ინტერვიუ ჩამომართვა, — გვითხრა ნინომ. — ისინი ინგლისურად მეკითხებოდნენ, პასუხის გაცემა კი ქართულად მთხოვეს. ასეთი რამ ჩემს კარიერაში პირველად მოხდა. ძალიან გამიხარდა, უცხოეთში მშობლიურ ენაზე ინტერვიუს მიცემის საშუალება რომ მომეცა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ჩემი წარმატება გაიზიარა, განსაკუთრებით ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, რომელმაც ლონდონის ოლიმპიადაზე მედროშედ დამასახელა. ეს დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. ვეცდები, საქმით გავამართლო“.

ლეგენდარულმა ჩუბინმა, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ ოლიმპიურ კომიტეტში გამოკრულ სალიცენზიო დაფაზე პირველი ხელმოწერაც გააკეთა, როგორც ლონდონის ოლიმპიადის პირველი საგზურის მფლობელმა.

**ლექსო ცინცაძე**

კალათბურთი

# კატალონიაში — უმასპინძლოდ



**მოხდა ის, რასაც ძნელად თუ ვინმე იწინასწარმეტყველებდა: ბარსელონაში დანიშნული ევროლიგის ოთხთა ფინალი მასპინძელთა გარეშე ჩაივლის.**

კატალონიელთა ცოდვა „პანათინაიკოსმა“ დაიდო, რომელმაც მეოთხედფინალური სერია შარშანდელ ტრიუმფატორს 3:1 მოუგო. ხავიერ პასკუალის გუნდმა უკანასკნელად ათენში გამართული მეოთხე მატჩის დებიუტში გაიბრძოლა და ქულათა მცირე მარაგიც შეიქმნა, მაგრამ მალე დიამანტიდისმა, ცარცარისმა და კალატესმა უმოწყალოდ დაამსხვრიეს სტუმართა ილუზიები — 78:67.

ასევე ითამაშებენ საუკეთესოთა კვარტეტში სიენას „მონტეპასკი“ და თელ-ავივის „მაკაბი“, რომლებსაც, ელადელთა მსგავსად, ოთხი შეხვედრა ეყოთ, შესაბამისად, პირეოსის „ოლიმპიაკოსისა“ და ბასკური „ტაუგრესის“ დასაჩოქებლად — 88:76 და 99:77.

ერთადერთი წყვილი, რომელშიც ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდება, გახლავთ ესპანური დერბი „ვალენსია“ და „რეალი“. მას შემდეგ, რაც სვეტისლავ პეშიჩის შეგირდებმა შინ 81:72 ივაჟკაცეს, საერთო ანგარიში გათანაბრდა — 2:2 და ოთხთა ფინალის მეოთხე მონაწილეს „სამეფო კლუბის“ დარბაზში დანიშნული მეხუთე დუელი გამოავლენს.

**გიორგი შოთაძე**

64 უჯრა

# ტალის წინააღმდეგ „ტალისებურად“...

**ფრიდრიკ ოლაფსონი (1935, რეიკიავიკიძ — ისლანდიელი მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი (1958ძ, ფიდეს IV პრეზიდენტი (1978-82ძ, პროფესიით იურისტი, ისლანდიის და ჩრდილოეთ ქვეყნების არაერთგზის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი.**

ოლაფსონი 1952 წლიდან თავკაცობდა თავისი ქვეყნის ნაკრებ გუნდს მსოფლიოს ოლიმპიადებზე და 1962 წელს საუკეთესო შედეგი აჩვენა I დაფაზე (14 ქულა 18 შესაძლებლიდანძ.

ოლაფსონი აქტიური პოზიციური სტილის მოჭადრაკეა.

**ტალი — ოლაფსონი**

1975



1. ... ლf4! 2. ეe7!~ ეf8!
3 ლa5 ([illegible] ლg5!!)
3... ეd1+ 4. მe1–ლg5!



**ტალის წინააღმდეგ „ტალისებურად“ მე-3 სვლაზე შეეძლო დაემთავრებინა შეტევა ოლაფსონს, რაც 2 ძახილის ნიშნით აღინიშნებოდა, მაგრამ ისლანდიელმა დააყოვნა და მე-4 სვლაზე მიაგნო „ტალისებურ“ სვლას, რაც 1 ძახილის ნიშნით აღინიშნა. ერთხელ ოლაფსონს სთხოვეს ეჩვენებინა თავის ცხოვრებაში ნათამაშევი ყველაზე პატარა პარტია. აი ისიც — გაეცინა დიდოსტატს და გაიხსენა ბოდვერსონთან შეხვედრა (1947ძ.**

მოამზადა
**თამაზ შენგელიამ**

ტრაგედია

# რატომ?

**ათენის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონის, 29 წლის ძიუდოისტის (63 კგძ კლაუდია ჰაილის სიცოცხლე 29 წლის ასაკში შეწყდა. იგი ვენის ცენტრში, მეექვსე სართულის ფანჯრიდან გადმოხტა, რაც, ალპური სახელმწიფოს ძიუდოს ფედერაციის თავკაცის ჰანს პოლ კუჩერის სიტყვებს თუ ვირწმუნებთ, ყველასათვის მოულოდნელობა აღმოჩნდა.**



სპორტული კარიერის განმავლობაში ჰაილმა ევროპის ჩემპიონატებზე ორი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო 2009 წლიდან, როცა პენსიაზე გავიდა, ახალგაზრდებს ავარჯიშებდა.

ინტერნეტიდან

## ანცობის საფასური



**„მანჩესტერ სიტის“ 20 წლის თავდამსხმელი მარიო ბალოტელი კლუბის თავკაცობამ 100 000 გირვანქა სტერლინგით (113 ათასი ევროძ დააჯარიმა.**

ფერადკანიანი იტალიელი ფანჯრიდან ეზოში მოვარჯიშე ახალგაზრდა ოსტატებისთვის დარტსის ხელშუბის ტყორცნისთვის დაისაჯა.

შეგახსენებთ, რომ ორკვირიანი სახელფასო ფინანსური სანქცია ბალოტელის ამას წინათაც დაეკისრა, როცა მინდვრიდან გააძევეს „სიტისა“ და კიევის „დინამოს“ საპასუხო მერვედფინალურ მატჩში (ევროპის ლიგაძ, ხოლო წლევანდელი საპრემიერლიგო სეზონის 12 შეხვედრაში მან 6 გოლი გაიტანა.

## შეღავათი გამორიცხულია



**მართალია, შაკირა მადრიდის „რეალის“ გულშემატკივრობას არასდროს მალავდა, მაგრამ „სამეფო კლუბის“ შეფებმა მაინც აკრძალეს მისი კომპოზიციების გამოყენება „სანტიაგო ბერნაბეუზე“.**

ამის მიზეზი გახდა პოპ-მუსიკის ვარსკვლავის გახმაურებული რომანი კასტილიელთა დაუძინებელი მტრის — „ბარსელონას“ ცენტრალურ მცველ ჟერარდ პიკესთან, რაც ამ დღეებში ორივემ დაადასტურა. შაკირამ ჯერჯერობით უკანასკნელი, მეშვიდე სტუდიური ალბომი შარშან ოქტომბერში ჩაწერა.

## ასეთია მისი გემოვნება



**რუმინეთის ყველაზე ბარაქიანი მკერდის ტიტულის მფლობელი, ბუქარესტის „სტიაუას“ თავგადაკლული ქომაგი ადინა ბარბუ გულახდილად აღიარებს, რომ უპირატესობას ანიჭებს ორალურ სექსს, პოზას „69“ და ოჯახური თანაცხოვრების შვედურ მოდელს.**

ახლახან იგი გამოტყდა, რომ ყმაწვილქალობაში მწარე მოსაგონარი დაუტოვა ალკოჰოლის დაჭაშნიკებამ. „მაშინ მეგობრებთან ერთად ერთ-ერთ ღამის კლუბში ვერთობოდი, 5-6 ჭიქა ტეკილა გადავკარი, ბეჭედი დავკარგე და მთელი ღამე ტუალეტში გავატარე“ — ამბობს სკანდალური მდედრი.

# ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

## კომპანია მაგთიკომის კიდევ ერთი პროექტი

**2011 წლის 31 მარტს „მაგთი კლუბში“ კომპანია „მაგთიკომის“ მხარდაჭერით გაიმართა გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მიერ გამოცემული წიგნის პრეზენტაცია.**

**პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო გალაკტიონ ტაბიძის საარქივო ოცდახუთტომეული, ილია ჭავჭავაძის საარქივო გამოცემა, აკაკი წერეთლის საარქივო გამოცემა (ორ წიგნად), ფუნაგორიების კრებული. 1924 წელს გამოცემული ჟურნალ „H2SO4“-ის რეპრინტი, 1910-1920 წლების ლიტერატურული ჟურნალების პირველი წიგნი.**


მიხეილ ქავთარია

როგორც გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა ლაშა ბაქრაძემ განაცხადა, ეს პროექტი იმითაა გამორჩეული, რომ ახლებურად, აქამდე სრულიად უცნობი კუთხით წარმოადგენს ჩვენს სახელოვან მწერლებს, პოეტებს, საზოგადო მოღვაწეებს, გასული საუკუნის კულტურულ თუ სულიერ სამყაროს. გამოცემაში შესულია საარქივო მასალები, მკითხველისთვის დღემდე უცნობი ლექსები, წერილები, პუბლიკაციები და სხვადასხვა სახის ჩანაწერები. ფუნაგორიები და პირადი წერილები, რომლებიც დაცულია ლიტერატურის მუზეუმში.

ასევე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებთან, კერძო კოლექციების მფლობელებთან. ავსტრიულმა მხარემ გამოგზავნა გრიგოლ რობაქიძის აქამდე უცნობი ნაშრომების ასლები, ამ მხრივ იგეგმება მუშაობის უფრო გააქტიურება.


პაატა ნაცვლიშვილი

ეს ნამდვილად ძვირფასი საჩუქარია როგორც ქართველი მკითხველისთვის, ასევე ლიტერატურის სფეროში მომუშავე სპეციალისტებისთვისაც. კომპანია „მაგთიკომის“ სპონსორობით მზადდება ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის პირველი ვებ-გვერდი, რომელშიც გამარტივებული იქნება მუზეუმის საარქივო მასალებისა და კოლექციების მოძიება. ეს კი უდაოდ შეუწყობს ხელს ჩვენი ეროვნული ფასეულობის რეკლამირებას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.


გუგა კოტეტიშვილი

ყველასათვის კარგადაა ცნობილი კომპანია „მაგთიკომის“ მიერ ფართო საზოგადოებისთვის ხელოვნების ნიმუშების გაცნობაში გაწეული ღვაწლის შესახებ. ძალიან საინტერესო იყო იმ ინფორმაციის მიღება, იგეგმება თუ არა მსგავსი გამოცემების საზღვარგარეთ გატანა, ქართული შემოქმედების რეკლამირება.

ამ კითხვაზე კომპანია „მაგთიკომის“ წარმომადგენელმა, ქალბატონმა ქეთი ნაცვლიშვილმა მიპასუხა:

**– ჩვენი მთავარი ამოცანა ამ ეტაპზე ქართული ხელოვნების ნიმუშების საქართველოში პოპულარიზაციაა. პირველ რიგში უმთავრესია, რომ ეს ნაწარმოებები ხელმისაწვდომი იყოს ქართველი მკითხველისთვის. რაც შეეხება დღევანდელ პრეზენტაციაზე წარმოდგენილ გამოცემებს, ისინი თუნდაც იმით არის საინტერესო, რომ წარმოდგენილია ისეთი ნაწარმოები, რომელთა შესახებ ქართველ მკითხველთა უმრავლესობას არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა. ასევე საინტერესოა აკაკი წერეთლის აბსოლუტურად სხვა შინაარსობრივი დატვირთვის მქონე ნიმუშები. ჩვენ ვამაყობთ, რომ ეს გავაკეთეთ. რაც შეეხებათ ხელოვნების თანამედროვე წარმომადგენლებს, გეტყვით, რომ ძალიან ბევრია საინტერესო მწერალი, მუსიკოსი, მხატვარი. მათ სათანადო ყურადღება სჭირდებათ და ჩვენ აუცილებლად მოვახდენთ მათი ნამუშევრების პოპულარიზაციას.**

პრეზენტაციას ესწრებოდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების ისეთი ცნობილი წარმომადგენლები, როგორებიც არიან გივი შაჰნაზარი, დათო ტურაშვილი, ბასა ფოცხიშვილი, პაატა ნაცვლიშვილი, გუგა კოტეტიშვილი და სხვები.

მაგთი
MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

აქვე წარმოგიდგენთ კომპანია „მაგთიკომის“ და გიორგი ლეონიძის სახელმწიფო მუზეუმის მიერ დაბეჭდილი გამოცემების ჩამონათვალს, ხოლო კომპანია „მაგთიკომს“ კიდევ ერთხელ ვუხდით მადლობას ამ ეროვნული საქმისთვის. ისინი მართლაც ქართულ საქმეს აკეთებენ!

**გალაკტიონ ტაბიძის საარქივო ოცდახუთტომეული** (დაიბეჭდა 2003-2008 წლებში): მათში თავმოყრილია ლექსები, პოემები, უბის წიგნაკები, სხვადასხვა ხასიათის ჩანაწერები, ლიტერატურული წერილები და ეტიუდები, გამოსვლები, პირადი და ოფიციალური მიმოწერა, განცხადება, ჩანახატები. პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ესეები და სამეცნიერო გამოკვლევები. გამოცემას თან ერთვის ხელნაწერთა აღწერილობა, აუცილებელი შენიშვნები, ვარიანტები და ნაწარმოებთა ანბანური საძიებელი: ფოტოები, ავტოგრაფები და მემუარული ნივთების რეპროდუქციები. გამოცემა მეტად მნიშვნელოვანია როგორც მასალის სიუხვითა და მრავალფეროვნებით, ასევე ტექსტებისა და ჩანახატების უმრავლესობის პირველი პუბლიკაციით.


ბასა ფოცხიშვილი

**ილია ჭავჭავაძის საარქივო გამოცემა** (დაიბეჭდა 2010 წელს): მასში თავმოყრილია ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში დაცული ლექსები, პოემები, თარგმანები, პუბლიცისტური და პირადი წერილები, ჩანაწერები. წიგნს თან ერთვის ავტოგრაფები, მუზეუმის იკონოგრაფიულ კოლექციაში დაცული ფოტოები და მემუარული ნივთები, ხელნაწერთა აღწერილობა, ლექსთა ყველა განსხვავებული ვარიანტი და კომენტარები.


გივი შაჰნაზარი (შუაში)

**აკაკი წერეთლის საარქივო გამოცემა ორ წიგნად** (დაიბეჭდა 2010 წელს): მასში წარმოდგენილია ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში დაცული ლექსები, პოემები, პროზაული ნაწარმოებები, თარგმანები, დრამები, პუბლიცისტური წერილები, პირადი მიმოწერა, სიტყვები და დოკუმენტები. წიგნს თან ერთვის ავტოგრაფები, მუზეუმის იკონოგრაფიულ კოლექციაში დაცული ფოტოები და მემორიალური ნივთები, ხელნაწერთა აღწერილობა, აუცილებელი შენიშვნები და პირთა ანბანური საძიებლები.

**ფუნაგორიების კრებული** (გამოიცა 1211 წელს): მკითხველებს სთავაზობს საზოგადოებისთვის დღემდე უცნობ ფუნაგორიებს (სახუმარო-სალაღობო ლექსებს და ენამოსწრებულ, გესლიან ეპიგრამებს). ხელნაწერი კრებული, რომელიც ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაშია დაცული, შედგენილია ნიკოლოზ აგიაშვილის მიერ, ლადო ასათიანისა და კარლო კალაძის რედაქტორობით. წიგნში თავმოყრილია გალაკტიონ ტაბიძის, კოლაუ ნადირაძის, ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, ნიკა აგიაშვილის, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეების, კარლო კალაძის, დავით გაჩეჩილაძის და სხვათა ფუნაგორიები. კრებულს თან ერთვის ოსკარ შმერლინგის, დონის (დავით ნაცვლიშვილის), ირაკლი გამრეკელის, გალაკტიონ ტაბიძის, ლადო ასათიანის, აკაკი ბელიაშვილის, კარლო კალაძის, გიგლა ფირცხალავას, თენგის გოგოლაძის, ირაკლი ჯანაშვილის შარჟები; ფუნაგორიებისა და შარჟების ავტორთა საძიებლები, იმ პირთა თუ მოვლენათა განმარტებები, რომლებიც ნახსენები ან ნაგულისხმებია ფუნაგორიებში.

**ჟურნალი „H2SO4“** – 1924 წელს გამოცემული ჟურნალის რეპრინტი (დაიბეჭდა 2011 წელს), რომელშიც წარმოდგენილია ქართული ფუტურისტ-ლეფელ (ხელოვნების მემარცხენე ფრონტი) მწერალთა და მხატვართა – სიმონ ჩიქოვანის, ნიკოლოზ ჩაჩავას, ირაკლი გამრეკელის, ბენო გორდეზიანის, ბიძინა აბულაძის და პავლო ნოზაძის შემოქმედება.

**1910-1920-იანი წლების ლიტერატურული ჟურნალების პირველი წიგნი** (დაიბეჭდა 2011 წელს): აერთიანებს 1913-1918 წლების პერიოდული გამოცემების – „ოქროს ვერძი“, „ცისფერი ყანწები“, „საფირონი“, „ლეილა“, „პრომეთე“, „აისი“ და „შვიდი მნათობი“ – ყველა ნომერი თავისი ილუსტრაციებით.

**გია გაბრიჭიძე**

## ჩვენი კარაბადინი

### რისკავთ!

**ძილის უკმარისობა გვაიძულებს მოუფიქრებელ ქცევებს, განაცხადეს მეცნიერებმა დიუკის უნივერსიტეტიდან (ამერიკის შეერთებული შტატები).** მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ მათ, ვისაც მუდმივად ცოტა სძინავს, ტვინში



უაქტიურდებათ ზონები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ოპტიმისტურ მოლოდინზე. ის ზონები კი, რომლებიც დაკავშირებული არიან ნეგატიურ პროგნოზირებასთან, პირიქით, „იძინებენ". ფრთხილ და წინდახედულ ადამიანებსაც კი, რომლებმაც ვერ გამოიძინეს, აქვთ მიდრეკილება მიიღონ სარისკო ფინანსური გადაწყვეტილებანი – მაგალითად, დააბანდონ ფული წინასწარვე არასაიმედო პროექტებში.

### გენიალურობის ბუნება

**გენიალობა წინასწარ არის განსაზღვრული ტესტოსტერონის დონით, მიაჩნიათ ფსიქოლოგებს ალბერტას უნივერსიტეტიდან (კანადა).**

მათი ჰიპოთეზის თანახმად, ჩვილი უკვე იბადება გენიალურ მათემატიკოსად ან მხატვრად. გენიალურობის ბუნება – ბიოლოგიურია. ტესტოსტერონის საშვილოსნოშიგნითა სიჭარბე სტიმულს აძლევს კავშირების უფრო ინტენსიურ ჩამოყალიბებას ტვინში, განსაკუთრებით შუბლის ქერქის მარჯვენა ნაწილში. შემეცნებითი უნარის უკმარისობა კი ისახება საშვილოსნოს შიგნით ტესტოსტერონის ბუნებრივი დონის უკმარისობის შედეგად. თუმცა, მეცნიერები თანახმა არიან, რომ საჭიროა დამატებითი გამოკვლევები.

### ერთი ბავშვი – სამი მშობელი

**უკვე გაისად შეიძლება გაჩნდნენ ბავშვები სამი მშობლით, მიაჩნიათ ბრიტანელ მედიკოსებს. ნიუკასლის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფის მიერ დამუშავებული ტექნოლოგია ვარაუდობს დედის დეფექტური მიტოქონდრიების შეცვლას ხელოვნური განაყოფიერების დროს.** მიტოქონდრიების დეფექტები იწვევენ მემკვიდრეების ღვიძლისა და გულის მძიმე დაავადებებს და მარტო დიდ ბრიტანეთში ყოველწლიურად დაახლოებით ას ბავშვს აზიანებენ.

„იმის გამო, რომ მიტოქონდრია შეიცავს დნმ-ს მცირე ოდენობას, ამგვარად ჩასახული ბავშვი მემკვიდრეობით იღებს გენეტიკურ მასალას სამი მშობლისგან, თუმცა მამისა და დედის წილზე 99,8 პროცენტი მოდის.

### კბილებისა და ღრძილებისთვის

**ამერიკელმა სტომატოლოგებმა შეადგინეს იმ რეკომენდაციების სია, რომლებიც იცავენ ჩვენს კბილებსა და ღრძილებს.**

**სალეჭ რეზინს ქსილიფით მართლაც შეუძლია გააუმჯობესოს კბილების მდგომარეობა. მედიკოსები გვირჩევენ, გამოვიყენოთ იგი უმალვე ჭამის შემდეგ ყოველდღე.**

მწვანე და შავი ჩაი უზრუნველყოფენ პირის ღრუს დაცვას რამდენიმე დაავადებისგან. ჩაის ანტიბაქტერიული თვისებები თავიდან გვაცილებენ დანალექების წარმოქმნას კბილებზე და ასუსტებენ ბაქტერიების მოქმედებას პირში.

სტომატოლოგები გვირჩევენ, ნუ გაგვიტაცებს გაფილტრული წყალი ბოთლებიდან, ვინაიდან იგი არ შეიცავს საკმარის ფტორს, რაც სასარგებლოა კბილის სიჯანსაღისთვის.

ყველის მიღება ჭამის ბოლოს თავიდან გვაცილებს კარიესს. ყველი ასევე ამცირებს ემალის დემინერალიზაციას, ანეიტრალებს სიმჟავეებს, რომლებიც წარმოიქმნება კბილის დანალექში და ნერწყვის გამოყოფის გადიდების ხარჯზე ასუფთავებს ემალს შაქრისგან.

ახალი სტაფილო, ვაშლი და კიტრი გვეხმარება, როგორც კბილის ჯაგრისის ბუნებრივი შემცვლელები: ისინი ახდენენ ღრძილების სტიმულირებას, ზრდიან ნერწყვის წარმოებას და ამგვარად ასუფთავებენ პირის ღრუს შაქრისა და საკვების ნაწილაკებისგან. ამას გარდა, სტაფილო, ისპანახი, პომიდორი და ბროკოლი შეიცავენ ბეტაკაროტინსა და ვიტამინს, რაც აუცილებელია კბილებისა და ღრძილების სიჯანსაღისთვის.

ЗДОРОВЬЕ

## ლეილა ქირთბაია-ჭანტურიას სახება

# ნუშის ყვავილის ლეგენდა

*ჩემო საყვარელო რძალო, შვილიშვილების სანუკვარო „ელილა" ბებო, ძალიან გვიყვარხარ ყველას, დიდებსაც და პატარებსაც! შენს ადამიანურ თუ, პიროვნულ ღირსებებს, რომელიც შენ უხვად გაგაჩნდა, შენს საოცარ ნიჭიერებას, შენს მონატრებას მე ვერ აღვწერ. ყველა სალოცავს შევთხოვ, გაგინათოს მარადიული სამყოფელი, ცხოვრება იგი დაუსრულებელი! გვიყვარხარ უსაზღვროდ! გეფერები შენი „კუკა" და შენი მდიდარი სულის შესაბამისად გიძღვნი საუკეთესოს, რაც გამაჩნია მრავალი წლის წინათ ბუნების ნაკარნახევი:*

ვინ იცის, ქვეყნად რამდენი ნუშის ხეა, მაგრამ არც ერთი არ ჰგავს იმ ნუშის ხეს, თბილისის ერთ ულამაზეს ეზოში რომ დგას! ამ ეზოში ერთი უბრალო ქოხიც დგას და შიგ მცხოვრებმა, ყველას და ყველაფერს მოკლებულმა გოგონამ, „უკვდავების წმინდა ქოხი" უწოდა მას! იმ ნუშის ყვავილივით თეთრი ღამეები იცის ამ ქოხში და ამ ეზოში. ამ ეზო-ქოხს ერთი პატარა რუც ჩამოუდის. თავისი მხიარული დინებით გადმორბის ქვებზე და აუწერელ სილამაზეს მატებს ყოველივეს.

გოგონა მარტოა, როგორც ქანდაკი და, სიხარული მისთვის მშვენიერ მარტს მოაქვს მხოლოდ, როცა ნუში კვირტებს ააფეთქებს.

ეს ხომ საოცნებო თანანას დაბადებას ჰგავს!

გოგონა ფრთხილად ამტვრევს ამ ნუშის ტოტებს და მიაქვს იქ, სადაც თავისი მიწიერი ხატი ეგულება და უგზავნის იმ საოცნებო დაბადებას. ნუშის კვირტებს ხომ, თანანას პატარა ხელები და ღიმილი დაამშვენებდა მხოლოდ!

თექვსმეტი წელი ასე უგზავნა ნუშის კვირტებით დაფეთქილი ტოტები და მეჩვიდმეტე გაზაფხულზე გოგონამ იმ მშვენიერ თანანას ნუშის ყვავილებით საქორწილო გვირგვინი გაუგზავნა.

**სვეტლანა ჭანტურია**
1977.

## გახსენება

# მარლენ მეტრეველი

ჩემო საყვარელო ძმაო, ღამის ორი საათია, არ მეძინება, ფიქრები შენს გარშემო ტრიალებს, ავდექი და შენს სურათს ვეჯიჯლინები, გიყვები აქაურ ამბებს. შენი მონატრება უკვე გაუსაძლისი ხდება, რასაც დედისა და მამის მონატრებაც ემატება. ოჰ, რომ იცოდე, როგორ მჭირდებით და მენატრებით. თქვენ წაიღეთ ჩემი სული და გული. თქვენმა აქ არყოფნამ გამანადგურა და მხოლოდ ფიზიკურად ვარსებობ ამ ქვეყანაზე. შენი ოჯახი იზრდება, ორი შვილიშვილის ბაბუა ხარ – ქეთი და მარიშა თავიანთი გონებითა და სიკეთით ეხლავე იპყრობენ გარემომყოფთა ყურადღებას.

მარლენ, დედა და მამა ასრულდა თქვენი ოცნება და ჩემმა ალიკამ ცოლი მოიყვანა, აპრილში შვილიშვილს ველოდებით.

იზრდება დავით მეტრეველის მონაგარი, რომელიც სიცოცხლეს მიხანგრძლივებს. ჩემო დიდო და მოურჩენელო ტკივილო, 14 წლის უნახავო ძმაო, გილოცავ 3 აპრილს – შენს დაბადების დღეს! იუბილარი ხარ, 60 წელი გისრულდება. ალბათ შეიცვლებოდი,



თმაში ჭაღარა შეგეპარებოდა. დედა და მამა მოგილოცავენ დაბადების დღეს, დედა აფუთფუთდება, მამა ლამაზად გაგიღიმებს და მოგეფერება. ჩემი მულის ლიას ქმარიც, გურამ ოზოლაშვილი, მოგილოცავს დაბადების დღეს – მისი სული ხომ 40 დღეა გადმოსახლდა სასუფეველში.

ჩემო საყვარელო ადამიანებო, თქვენს ხსოვნას და მოგონებებს არ მოკლებოდეს სანთელი და ნათელი, ღმერთმა ნათელში გამყოფოთ და სასუფეველი დაგიმკვიდროთ.

**შენი და ნინო**

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით.
868 838 858

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77;
899 32-85-76.

საბჭოთა კავშირის გმირის ჭ. ყ. ბენდელიანის სახელობის სამხედრო-საჰაერო ძალთა თბილისის ყოფილი სპეცსაშუალო სკოლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანასკოლელი, უკეთილშობილესი პიროვნება, პირველი კლასის მფრინავი

კუკური წვერავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს ქ-6 ნაზი კიკოლაიშვილს დედის თამარ ცერცვაძის გარდაცვალების გამო.

## ანეკდოტები

– ქალბატონო, მთელი ზურგი თეთრი გაქვთ.

– მარტო ზურგი კი არა, მთელი ტანი მაქვს მასეთი...

* * *

– ბანაკში მივდივარ ხელმძღვანელად. შენი აზრით, რა წავიღოთ?

– რაც შეიძლება ბევრი პრეზერვატივი.

– მაგრამ იქ ხომ ბავშვები არიან!

– იმათაც წაუღე.

* * *

ფულადი ნიშნებით საგზაო ნიშნებისთვისაც შეიძლება გვერდის ავლა.

* * *



ტიპმა ხელფასი აიღო და სახლში მიდის. გზაში ოთხი ტიპი დახვდა და საფულე წაართვეს.

– შემიბრალეთ, ხელფასად აღებული ამ ფულით მთელი თვე უნდა ვიცხოვროო! – ერთი კი ამოიკვნესა ტიპმა, მაგრამ ვინ ათხოვა ყური.

ერთი კვირის შემდეგ ის ტიპი სახლში ზის. კარზე ზარი ირეკება. კართან ის ტიპები დგანან. საფულე დაუბრუნეს. გახსნა ტიპმა, ფული გადაითვალა. კაპიკიც არ აკლდა.

– რა მოხდა, ბიჭებო, რაშია საქმე? – ეკითხება უზომოდ გაკვირვებული.

– აიღე, თუ ძმა ხარ, შენი ხელფასი. რამდენჯერაც გადავითვალეთ, იმდენჯერ ავხარხარდით. ერთი დაგვეხრჩო კიდეც სიცილით.

* * *

ხალხური დაკვირვებიდან: იმ სახლში, სადაც დიასახლისი საჭმელს ცუდად ამზადებს, ქალი მუდამ მსუქანია.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.